აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№50 (24.930) შაბათი, 21 - 23 მაისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 762 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ნიკ ბერესფორდი – ბათუმში

აჭარის მთავრობის მეთაურმა თორნიკე რიუკაძემ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივ წარმომადგენელ ნიკ ბერესფორთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა



შეხვედრაზე გაეროსა და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით მიმდინარე პროექტებზე ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ UNDP-ის ჩართულობით, აჭარაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება, მათ შორის სატრანსპორტო სისტემების განვითარება პროექტის „მწვანე ქალაქების“ ფარგლებში, დაცული ტერიტორიების, ნარჩენების მართვის, გარემოს დაცვისა და კულტურის განვითარების სტრატეგია.

- მიხარია, რომ შევხვდი აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს. სამუშაო, რომელსაც თორნიკე რიუკაძე ამ რეგიონში ეწევა, ნამდვილად შთამბეჭდავია. გაეროო და UNDP-ი რეგიონში ახორციელებენ პროგრამებს, მუშაობენ გარემოს დაცვის საკითხებზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, ატარებენ ტრენინგებს. ეს თანამშრომლობა გრძელვადიანია და მიმართულია იმისკენ, რომ წვლილი შევიტანოთ ქალაქის მომავალ წარმატებაში, - აღნიშნა შეხვედრის შემდეგ ნიკ ბერესფორდმა.

* * *

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის სამმხრივი შეთანხმება გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელმა ნიკ ბერესფორდმა, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელმძღვანელმა ავთანდილ კასრაძემ და ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

მემორანდუმი ითვალისწინებს ბათუმის მუნიციპალიტეტში სტარტაპ და ინოვაციების ეკოსისტემის განვითარების ხელშეწყობას და თანამშრომლობას საერთო ინტერესის სფეროში.

თანამშრომლობის ფარგლებში, რეგულარულად ჩატარდება კონსულტაციები და დაიგეგმება ღონისძიებები ბათუმში სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების მიზნით.

პროექტი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების ფონდის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში ხორციელდება, რომლის თანახმად, მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის შემუშავების მიზნით, ბათუმის მუნიციპალიტეტი კონკურსის წესით შეირჩა. პორტფელის საშუალე-ბით მოხდება რესურსებისა და ახალი პარტნიორების მოზიდვა და გადაიდგმება შემდგომი ნაბიჯები ბათუმში სტარტაპ და ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოსაყალიბებლად. პორტფელზე მუშაობის დასრულების შემდეგ, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია სხვადასხვა საპილოტე და სადემონსტრაციო ღონისძიებები.

ელენე საყვარელიძე

რა გაკეთდა და რა იგეგმება 2022 წელს – მინისტრის ანგარიში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„მინისტრის საათის“ ფორმატში აჭარის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატების წინაშე სამინისტროს საქმიანობის შესახებ მოხსენებით წარსდგა მაია ხაჯიშვლი. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ვრცლად ისაუბრა უწყების მიერ 2021 წელს განხორციელებულ თუ 2022 წლისთვის დაგეგმილ პროექტებზე, პრიორიტეტებზე, აღნიშნა, რომ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, 2021 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, კონკრეტულად კი: აშენდა ბათუმის N6, N23, ასევე, ფერიისა და განახლების სკოლები, დასრულების ეტაპზეა დაბა შუახევისა და ქედქედის სკოლები, შენდება ბათუმის N15 სკოლის ახალი კორპუსი, კალოთის, ბეღლეთის, ხუცუბნის სკოლები. დასრულდა ზენითის სკოლის, ხოლო მიმდინარეობს დაბა ქედის, მახოსა და განთიადის სკოლების სპორტდარბაზების მშენებლობა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 40 საჯარო სკოლას. 2022 წელს განსახორციელებელ სამუშაოებს რაც შეეხება, დაგეგმილია ბათუმის №16 და №31 სკოლების, №14 სკოლის ახალი კორპუსის, ქვემო ვაშლოვანის, დანისპარაულისა და უჩხოს სკოლების მშენებლობა, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდება 43 საჯარო სკოლას. აღნიშნული მიმართულებით დაიხარჯება 17 802 460 ლარი. მინისტრის განცხადებით, განათლებისა

ის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით ერთ-ერთ გამოწვევად რჩება დეფიციტური საგნების სწავლება მაღალმთიან რაიონებში, რისთვისაც 2022 წელსაც გრძელდება პროექტი „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის“. მის ფარგლებში მაღალმთიან რაიონში კონკურსის წესით შერჩეული 30 მასწავლებელი სახელფასო დანამატს - 1000 ლარს მიიღებს. მინისტრმა, ასევე, გაამახვილა ყურადღება სტუდენტთა დახმარებაზე, რაც გულისხმობს სწავლის საფასურის დაფინანსებას 1300-ზე მეტი სტუდენტისთვის. ასევე, მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსება, რომელიც ჩვენს რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, აიმაღლონ კვალიფიკაცია და შეძენილი გამოცდილებით დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქს, ქვეყანას.

აჭარის განათლების სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა აჭარაში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით. მაია ხაჯიშვილმა სსიპ „ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის“ მუშაობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ცენტრი სხვადასხვა მიმართულებით ხელს უწყობს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, კარიერულ, ინტელექტუალურ-კულტურულ განვითარებას და არაერთი მიმართულებით, სხვადასხვა მნიშვნელოვანი და საჭირო უნარების ჩამოყალიბებას. 2022 წლის პრიორიტეტების მიხედვით განსახორციელებელი ღონისძიებები, როგორიცაა არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, თავისუფალი დროის სწორად მართვა, საერთაშორისო გამოცდილების მიღება და ჩართულობის, მოხალისეობრივი საქმიანობის, ახალგაზრდული ეკონომიკის მხარდაჭერა, ასევე, ინტელექტუალურ-კულტურული სფეროს პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს უამრავი ახალგაზრდის ჩართვას რეგიონის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იხ. მე-7 გვ.

ჭადრაკს პირველკლასელები სავალდებულო საგნად შეისწავლიან

2

რა ხდება ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში?

4

კრიალოსანი

იუსტიციის მინისტრმა სამინისტროს მუშაობის ერთწლიანი ანგარიში წარადგინა. ინფორმაცია ამის შესახებ იუსტიციის სამინისტრომ გაავრცელა. რატი ბრეგაძემ იმ რეფორმებზე ისაუბრა, რომლებიც უწყების პრიორიტეტული მიმართულებების გაძლიერებისათვის გატარდა. პრეზენტაციას მინისტრის მოადგილეები, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, იუსტიციის სამინისტროს სამსახურების ხელმძღვანელები, სისტემის თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი ევროპის საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრთა კომიტეტის 132-ე სესიაში მონაწილეობს, რომელსაც ქალაქი ტურინი მასპინძლობს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყების ხელმძღვანელი, მინისტერიალის ფარგლებში, სიტყვით მიმართავს სესიის მონაწილეებს, შეხვედრებს გამართავს ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან და ევროპის საბჭოს ხელმძღვანელ პირებთან. დარჩიაშვილი გუშინ ავსტრიის რესპუბლიკის ევროპისა და საერთაშორისო საკითხების ფედერალურ მინისტრ ალექსანდრ შალენბერგს, გერმანელ კოლეგას და ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა.

* * *

სახალხო დამცველის მოადგილის ეკატერინე სხილაძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოჯახსა და ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მაჩვენებელი გაზრდილია, დანაშაულზე სახელმწიფოს პრევენციულ პოლიტიკას ნაკლოვანებები აქვს - „ვახდენთ რეაგირებას მომხდარ შემთხვევებზე, მაგრამ ვერ უზრუნველვყოფთ ასეთი შემთხვევების პრევენციას“. სხილაძის თქმით, ამ ტიპის ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი საშუალება არის ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და მსხვერპლთა მხარდაჭერა.

* * *

გუშინ, 7 ნოემბრის საქმეზე საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო. „ვივამედიდან“ წარდგენილი ცნობის მიხედვითაც, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით პატიმარი სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა. სააკაშვილმა დისტანციურ ჩართვაზე უარი თქვა. სახელმწიფო ბრალდება ექსპრეზიდენტს 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება.

მოამზადა ია შველიძემ

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

მეთორმეტეკლასელებისთვის დღეიდან ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება!

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

გუშინ საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში „ბოლო ზარი“ დაირეკა. წელს აჭარის მასშტაბით სკოლა 4681-მა მოსწავლემ დაამთავრა. მათგან ბათუმში 2349 კურსდამთავრებულია, ქობულეთში - 931, ხელვაჩაურში - 765, ქედაში - 165, შუახევში - 175, ხულოში - 296

ასობით კურსდამთავრებული მშობლიურ სკოლაში მისთვის გამორჩეულად, შედარებით ხანგრძლივად დარეკილი ზარით, თვალცრემლიანი დაემშვიდობა სკოლას, ბავშვობის წლებს და ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპის ათვლა დაიწყო.

ასე იყო ბათუმის №1 საჯარო სკოლაში, სადაც დილიდან საზეიმო განწყობა სუფევდა. ამ ხალისიან და ამავდროულად, ოდნავ სევდიან განწყობაში წვიმამ თავისი კორექტივები ვერ შეიტანა... პატარებს უფროსკლასელებმა დასამახსოვრებელი სიურპრიზი მოუწყვეს. საჰაერო ბუშტები, მაშხალები, მუსიკა, ბავშვების ჟრიამული - ყველაფერი საზეიმო განწყობას ქმნიდა.

პირველი საჯარო სკოლა აჭარაში კონტინგენტით ერთ-ერთი ყველაზე დიდია - აქ მიმდინარე სასწავლო წელს 2215 მოსწავლე სწავლობდა, აქედან 280 მეთორმეტეკლასელი რვა პარალელურ კლასში იყო.

სკოლაში ჩარიცხვის პირველი და მეორე ეტაპის შემდეგ აქ უკვე მიიღეს 106 პირველკლასელი, მთლიანად კი პირველ კლასში 125 მოსწავლე ჩაირიცხება. მესამე ეტაპის ონლაინრეგისტრაცია 24 მაისს დაიწყება.

მესამე წელია, რაც მეთორმეტეკლასელებს გამოსაშვები გამოცდები აღარ უტარდებათ. წლევანდელი სასწავლო წელი ონლაინრეჟიმით 15 სექტემბრიდან დაიწყო და მხოლოდ ორი კვირა გაგრძელდა, 4 ოქტომბრიდან კი სასწავლო წლის ბოლომდე სკოლა პირისპირ სწავლების რეჟიმზე გადავიდა.

წელს სკოლაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი დაიწყო, რომლის ფარგლებში განათლების სამინისტრომ მასწავლებელთა გადამზადებაც ჩაატარა.

როგორც №1 საჯარო სკოლის დირექტორმა ნატალია მგელაძემ გვითხრა, შარშანდელი კურსდამთავრებულების მეტი წილი სტუდენტი გახდა, წლევანდელი კურსდამთავრებულების დიდი უმრავლესობაც, რა თქმა უნდა, ეროვნულ გამოცდებზე გავა.

- შარშან მედალოსნების რაოდენობაც გამორჩეულად დიდი იყო, თუმცა არც წელსაა ნაკლები. მართალია, პანდემიამ სწავლებას თავისი კვალი დააჩინა, მაგრამ აკადემიური მოსწრება საკმაოდ მზარდია და იმედია, ასე გაგრძელდება. სკოლაში ასწავლიან როგორც ხანდაზმული და გამოცდილი პედაგოგები, რომელთა შორის არიან ნინო რუსეიშვილი (მან ეს სკოლა დაამთავრა), სპეცმასწავლებელი ნანი ჟღენტი, ასევე, ბევრი ახალგაზრდა პედაგოგი.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ბათუმის მეექვსე საჯარო სკოლას ეწვია. მან მიულოცა კურსდამთავრებულებს სკოლის დამთავრება და ახალი წარმატებები უსურვა.

- ვულოცავ მეთორმეტეკლასელებს ბოლო ზარს, საქართველოს კეთილდღეობისა და აღმშენებლობის გზაზე ახალგაზრდებს ბედნიერ მომავალს, ქვეყნის შიგნით და მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სამეცნიერო კვლევით მიღწევებს, კულტურისა და სპორტის დარგში გამორჩეულ შედეგებს, ყველა დასახული მიზნის ასრულებასა და თვითრეალიზაციას ვუსურვებ, - თქვა მაია ხაჯიშვილმა.

მეთორმეტეკლასელებო, ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება!

ჭადრაკს პირველკლასელები სავალდებულო საგნად შეისწავლიან

ნანა აბულაძე 577 20 35 90

როგორც მოგეხსენებათ, ჭადრაკი მოსწავლეებში ხელს უწყობს ლოგიკური, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ჩვენი სამინისტრო, ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად, უკვე აქტიურად აწარმოებს მოსამზადებელ სამუშაოებს და მე ძალიან მიხარია, რომ სექტემბრიდან პირველკლასელები ეზიარებიან ჭადრაკის ულამაზეს სამყაროს, - აღნიშნული განცხადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა გააკეთა. მისივე განმარტებით, სკოლის მოსწავლეები ჭადრაკს პირველ კლასში სავალდებულო საგნად შეისწავლიან.

სავალდებულო საგნად ჭადრაკის შესწავლა 2022-2023 სასწავლო წლის სექტემბრიდან იგეგმება, მანამდე კი აღნიშნულისთვის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს, რაც გულისხმობს მასწა-ვლებელთა ტრენინგების ორგანიზებასა და სასწავლო რესურსების მომზადებას.

- გადამზადდება საქართველოს ყველა სკოლის ჭადრაკის პედაგოგი და დარწმუნებული ვარ, რომ სექტემბერში როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები მზად შეხვდებიან ამ პროცესს, - აღნიშნა საქართველოს ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ.

როგორც პედაგოგები აცხადებენ, მათთვის აღნიშნული სიახლე ძალიან სასიამოვნოა, რადგან ჭადრაკის სწავლა ბავშვს მისცემს შესაძლებლობას, გაიუმჯობესოს უნარები მრავალი მიმართულებით, მაგალითად, გამოიმუშაოს სწორი კონცენტრაციის, ანალიზის, აზრის სწორად ჩამოყალიბების, ფორსმაჟორულ სიტუაციაში ლოგიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და ასე შემდეგ. აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო სისტემაში ჭადრაკის სწავლების დანერგვას ევროკავშირის 2012 წლის დეკლარაცია ითვალისწინებს.

ფურტიოში რაგბი უყვართ, ნენიაში - ცოდნას ეძალებიან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მოსახლეობის რაოდენობით ფურტიო ყველაზე დიდი სოფელია შუახევში. თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლის შენობა, ახლად გახსნილი საბავშვო ბაღი, კეთილმოწყობილი სოფლის ცენტრი, სოფლის სახლი, რაგბის მშენებარე სტადიონი, მოასფალტებული გზა, 29 კილომეტრიდან მოყვანილი სასმელი და სარწყავი წყალი თითოეული ოჯახის ცხოვრებას, შრომას საინტერესოს ხდის, რაც აქ გამართულ შეხვედრაზეც გამოიკვეთა

შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილე ჯემალ სურმანიძემ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ მარინა ზანაქიძემ, ზამლეთის თემის მაჟორიტარმა გიორგი კეკელიძემ ისაუბრეს იმ პროგრამებსა და პრიორიტეტებზე, რაც მიმდინარე წელს შუახევში მიმდინარეობს.

ფურტიოს მცხოვრებლებმა - ზაურ ხიმშიაშვილმა, ნათელა ქამადაძემ და სხვებმა სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება, რაგბის სტადიონის რეკონსტრუქციის დაჩქარება ითხოვეს. შეხვედრას ნორჩი მორაგბეებიც ესწრებოდნენ, რომლის დასრულების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები მორაგბეთა საწვრთნელ თამაშსაც დაესწრნენ. ამავე კონტინგენტს ხალხმრავალი შეხვედრა ჰქონდა სოფელ ნენიაში. აქ შოთა ქამადაძემ, ამირან მიქელაძემ წარმოებული თამბაქოს რეალიზაციაში, სასოფლო გზების გაყვანაში, სკოლის სტადიონის რეკონსტრუქციის დროულად დაწყებაში ითხოვეს დახმარება. ისიც აღინიშნა, რომ ნენიის საჯარო სკოლის მოსწავლეები წარმატებას აღწევენ ცალკეულ კონკურსსა და ინტელექტუალურ თამაშებზე.

- ორივე სოფელში საქმიანი შეხვედრები იყო, მოსახლეობის მოთხოვნები გათვალისწინებული იქნება, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

სასკოლო ფესტივალი ტრადიციული გახდება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ამ დღეებში ბათუმში ახალი სასკოლო ფესტივალი დაფუძნდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯანსაღი ცხოვრება და სპორტის პოპულარიზაცია სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

ფესტივალი ხელბურთის კლუბმა „ბათუმი“ დააფუძნა. როგორც კლუბის დირექტორმა ვალერი კაკულიამ გვითხრა, იგი ტრადიციული გახდება და მასში სულ უფრო მეტი ბავშვი ჩაერთვება. აღნიშნული ფესტივალის ჩატარება წელიწადში ორჯერ - ნოემბერსა და მაისშია დაგეგმილი.

პირველ ფესტივალს მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. მასში ქალაქ ბათუმის ოცი საჯარო და კერძო სკოლის 200-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

ღონისძიებას ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, აჭარის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ლაშა ჩავლეშვილი და მისი მოადგილე მინდია ქათამაძე ესწრებოდნენ.

ორგანიზატორებმა ფესტივალზე ვეტერანი და ღვაწლმოსილი ხელბურთელები მიიწვიეს, მათ მიერ განვლილი ნაყოფიერი გზისთვის მადლობა გადაუხადეს და მათი წვლილი სათანადოდაც აღნიშნეს.

- ჯანსაღი ცხოვრება და სპორტის პოპულარიზაცია ბათუმის მერიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ბათუმი ხომ ევროპის სპორტის ქალაქის ტიტულს ატარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვალდებულება გვაქვს, მუდმივად განვავითაროთ სპორტული ინფრასტრუქტურა, მაქსიმალურად ჩავრთოთ ახალგაზრდები სპორტულ ღონისძიებებში და, რაც მთავარია, ბათუმი გადავაქციოთ მძლავრ სპორტულ კერად. წარმატებას ვუსურვებ ამ შესანიშნავ წამოწყებას, - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

ღონისძიების ბოლოს ფესტივალის თითოეული მონაწილე სიგელებით, მედლებითა და თასებით დაჯილდოვდა.

ბოლო ზარი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მიმდინარე სასწავლო წელს შუახევის მუნიციპალიტეტის 30-მა საჯარო სკოლამ 175 კურსდამთავრებულს ცხოვრების დიდ გზაზე გასვლა დაულოცა. მათგან 95 პროცენტი ერთიან ეროვნულ გამოცდებზეა რეგისტრირებული.

ბოლო ზარი ყველა სკოლაში საზეიმოდ დაირეკა. ხიჭაურის, ჭვანის, ჭალის, ახალდაბისა და წყაროთის სკოლებში საზეიმო ცერემონიას შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგრაჭაძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძე დაესწრნენ.

- ეს დღე თითოეული კურსდამთავრებულისთვის საუკეთესო მოგონებად დარჩება, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

ევროკავშირის მოახლოებული სამიტი სამი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ბედს განსაზღვრავს

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

30 წელია საქართველო დამოუკიდებელობის გზას ადგას, რომელიც წინააღმდეგობითაა სავსე. ჩვენმა ქვეყანამ ევროპული კურსი აირჩია და, გეოსტრატეგიული თავისებურებებიდან გამომდინარე ბევრ დაბრკოლებასაც აწყდება, რის შესახებაც ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია

უნდა აღინიშნოს, რომ არა დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერა საქართველოსადმი, ქართული სახელმწიფოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ამ მიმართებით დასავლეთმა არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა და დგამს, ერთერთია საქართველოსთვის ევროკავშირის კითხვარის გადაცემა.

საქართველოს ისტორიაში 24-25 ივნისი შეესაძლოა უმნიშვნელოვანეს თარიღად ჩაიწეროს. სწორედ ამ დღეს დაგეგმილია ევროკავშირის სამიტი და არ არის გამორიცხული, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭოს. ანალოგიური შესაძლებლობები იკვეთება მოლდოვისა და უკრაინისთვისაც, შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანების მეტი შანსი აქვთ გარკვეულ მიზეზთა გამო, მაგალითად, უკრაინა და მოლდოვა გეოგრაფიულად უფრო ახლოს არიან დასავლეთთან და ასევე, ექსპერტთა თქმით, საქართველოსგან განსხვავებით, დემოკრატიული მმართველობა თვალშისაცემია, რასაც, ცხადია, არ ეთანხმება ოფიციალური თბილისი. მაინც ისმის კითხვა: ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით რას მოუტანს ჩვენს ქვეყანას ევროკავშირის კითხვარის შევსება, გაძლიერდება თუ არა კრემლის ზეწოლა საქართველოზე და საერთოდ, რა ვალდებულებები უნდა შეასრულოს საქართველომ, რომ ევროკავშირში გაერთიანება სამომავლოდ რეალური გახდეს? ამ მიმართებით რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი.

ევროკავშირის კითხვარის შევსებით ფონს ვერ გავალთ, მთავარია, როგორც ვთქვით, ვალდებულებების შესრულება, თუმცა ისიც უდავოა, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის კითხვარის გადმოცემა მრავლისმთქმელია დასავლეთთან დაახლოების თვალსაზრისით, რაც რუსეთის ინტერესებში არ შედის. ცხადია, რუსეთი შეეცდება საქართველოზე ზემოქმედება მოახდინოს, მაგრამ თუ საქართველოს საზოგადოება და ხელისუფლება მყარად იდგება ფეხზე და ისეთი ღირებულებებით ისაზრდოებს, როგორებიცაა ქვეყნის სუვერენიტეტი, დამოუკიდებელობა და თავისუფლება, ასევე, უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის სტაბილურობა, მაშინ რუსეთის დესტრუქციული მცდელობა მცდელობად დარჩება

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ ევროკავშირის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რასაც მის სახელმწიფოებში აკეთებენ, ესაა დემოკრატიული სტანდარტების დანერგვა, ადამიანის უფლებების დაცვა, განსხვავებული შეხედულებების პატივისცემა და კანონის უზენაესობა. ისინი ჩვენგანაც სწორედ ამ დებულებების დაცვას მოითხოვენ. ცხადია, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ევროპასთან დაახლოება, რათა რუსეთმა თავის საწადელს ვერ მიაღწიოს. ჩვენმა ქვეყანამ დემოკრატიული ნორმები უნდა დაიცვას, გაითვალისწინოს დასავლეთის რეკომენდაციები თუნდაც ადამიანის უფლებების დასაცავად. გარდა ამისა, ევროკავშირის კითხვარის შევსება (რაც უკვე გაკეთდა სამივე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ) საქართველოს აძლევს ევროკავშირთან უფრო დაახლოების შანსს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამისთვის მხოლოდ ევროკავშირის კითხვარის შევსება არ კმარა, ამ მიმართებით რეფორმების მთელი კასკადია ჩასატარებელი. მაგალითად, თუნდაც სასამართლოს სფერო ავიღოთ. საჭიროა ჩვენი სასამართლოს ბაზისის ჰარმონიზაცია ევროკავშირთან, რაც ჯერჯერობით ვერ განხორციელდა სათანადო დონეზე, ამას აცხადებენ პოლიტიკოსები. ხელისუფლებას, მართლია, უნდა ევროპული სტანდარტების დანერგვა, მაგრამ ეს ასე სწრაფად შეუძლებელია. საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, მოსახლეობის ინფორმირება, უფლებების და ვალდებულებების კარგად გაცნობიერება, იმის გათავისება, თუ რა ვალდებულებები დაგვეკისრება მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებისა და გასაღებისთვის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება კი მოითხოვს სათანადო ბაზას. ახლა რაც შეეხება კითხვას, ვაკმაყოფილებთ თუ არა დემოკრატიულ ნორმებს? აქ ყველაფერი მაინც სუბიექტურია. ცხადია, ევროპისთვის ძალზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული წესწყობილება, კანონის უზენაესობა და ა. შ. ასევე მნიშვნელოვანია თავად ქვეყნაში მიმდინარე მოვლენები. ოპოზიცია აპელირებს, რომ დემოკრატია მოიკოჭლებს, რასაც ცხადყოფს, მათი თქმით, თუნდაც ნიკა გვარამიას დაპატიმრება. ხელისუფლების აზრით, საქართველო რეგიონში დემოკრატიული განვითარებით მაღალ დონეზეა, ამაზე დავა შეიძლება.

გავიხსენოთ თუნდაც საქართველოს უახლესი ისტორიის ბოლო 28-წლიანი პერიოდი, რა გვქონდა და დღეს რა არის. ხელისუფლების აზრით, საქართველო ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წინ მიდის, მაგრამ, ცხადია, ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, პირიქით, უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას, განახორციელოს დემოკრატიული რეფორმები, დაიცვას ადამიანის უფლებები და დაემორჩილოს სამოქალაქო კონტროლს. სწორედ ამ ვალდებულებების შესრულებას ითხოვს ჩვენგან ევროკავშირი. მარტო ევროკავშირის კითხვარის შევსებით ფონს ვერ გავალთ, მთავარია, როგორც ვთქვით, ვალდებულებების შესრულება, თუმცა ისიც უდავოა, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის კითხვარის გადმოცემა მრავლისმთქმელია დასავლეთთან დაახლოების თვალსაზრისით, რაც რუსეთის ინტერესებში არ შედის. ცხადია, რუსეთი შეეცდება საქართველოზე ზემოქმედება მოახდინოს, მაგრამ თუ საქართველოს საზოგადოება და ხელისუფლება მყარად იდგება ფეხზე და ისეთი ღირებულებებით ისაზრდოებს, როგორებიცაა ქვეყნის სუვერენიტეტი, დამოუკიდებელობა და თავისუფლება, ასევე, უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის სტაბილურობა, მაშინ რუსეთის დესტრუქციული მცდელობა მცდელობად დარჩება. განსაკუთრებით მაშინ, თუ დასავლეთი პრინციპული იქნება რუსეთის მიმართ, ამ შემთხვევაში კრემლი თავის საწადელს ვერ მიაღწევს, იგი ხომ მოდერნიზებული იმპერიის აღდგენას ცდილობს. ამ კუთხით საინტერესო პარალელი უნდა გავავლო. მაგალითად, ავიღოთ საბჭოთა კავშირი და ევროკავშირი. საბჭოთა კავშირის შეცდომა იყო ის, რომ მთელი ეკონომიკა დაუქვემდებარა პოლიტიკას...

დღევანდელი რუსეთის სახე ცხადად წარმოაჩინა უკრაინაში შეჭრამ და ომის მსვლელობამ. მარტო ბუჩას ტრაგედია რად ღირს, რუსმა სამხედროებმა ასობით მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს, აწარმოებენ აგრესიულ პოლიტიკას მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუსეთში ჰყვავის კორუფცია, ადამიანი იქ არაფრად მიაჩნიათ, დასავლეთში კი უმთავრესი პიროვნების თავისუფლება, მისი ინტერესების დაცვაა. გარდა ამისა, ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც დასავლეთი მაღალგანვითარებულია რუსეთთან შედარებით, ვინც უკეთესად წარმოაჩენს ახალ იდეებს, ფინანსებიც იქითკენ მიდის, ეს არის საბაზრო ეკონომიკა. ახლა სახელმწიფო კი არ ასაქმებს ადამიანს, არამედ დამსაქმებელი (კერძო კომპანია) ქმნის სამუშაო ადგილებს. ეს სხვაობაა დასავლეთსა და რუსეთს შორის. აქედან გამომდინარე, რუსეთი ვერ იქნება წარმატებული ქვეყანა, ევროკავშირი კი ის გაერთიანებაა, სადაც მაღალგანვითარებული, ყველა სფეროში დაწინაურებული ქვეყნებია გაწევრიანებული, იქ თითოეული ქვეყნის დამოუკიდებლობას პატივს სცემენ და მათ ინტერესებს ზედმიწევნით ითვალისწინებენ, სწორედ ამის შესახებ საუბრობს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ლევან ჯაყელი: „ევროპასთან სიახლოვე იმიტომ გვინდა, რომ შევძლოთ ევროპული ფასეულობების გათავისება. მასში შედის ქართული ფასეულობებიც, რომელიც ევროპამ გამოიმუშავა. ისიც სათქმელია, რომ ჩვენ გეოგრაფიულად უფრო ვართ ევროპული სახელმწიფო, ვიდრე მენტალურად, რატომ? იმიტომ, რომ საბჭოთა წარსული გვქონდა და მისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტის შეცვლას დიდი დრო სჭირდება... მიუხედავად ამისა, საქართველო დროთა განმავლობაში მაინც გახდება ევროატლანტიკური ორგანიზაციების წევრი, რაც ქართულ სახელმწიფოს გააძლიერებს“. ანალოგიური შეხედულებისაა პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „ვფიქრობ, ჩვენ ევროპელები ვართ, ანუ ჩვენი ღირებულებები, ეთნოსი, კულტურა, ხედვა, მიდგომა საკითხებისადმი ხშირ შემთხვევაში არის ევროპულის მსგავსი, მაგრამ, სამწუხაროდ, თავს იჩენდა ხოლმე ქართველი ადამიანის გადაგვარების პროცესი მაშინ, როცა ჩვენზე დაბალი კულტურის დამპყრობლები თავს გვახვევდნენ საკუთარ მრწამსს, კულტურას, ეს ზეგავლენა ზოგადად, შეიმჩნევა ქართულ საზოგადოებაში, მიუხედავად ამისა, საქართველო ნამდვილად არის თავისი პოლიტიკური, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ევროპული ტიპის ქვეყანა და მას შეუძლია არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგას ევროკავშირის განმტკიცებისთვის. მთავარია, ჩვენ ნაკისრი ვალდებულებები ევროკავშირთან მიმართებით პირნათლად შევასრულოთ“. როგორც ვხედავთ, დასავლური კურსის უკეთესობა ძალიან მარტივ რამეში გამოიხატება, პიროვნების პატივისცემაში, პიროვნულ თავისუფლებაში, რაც რუსეთში გამორიცხულია. ამ კუთხით თუ დასავლეთმა საქართველოში პროგრესი ვერ დაინახა, ეს ჩვენს დასავლურ კურსს შეაფერხებს, რაც, უპირველესად, ხელისუფლების პასუხისმგებლობა იქნება, ასევე სამოქალაქო საზოგადოების, რომელმაც დღენიადაგ უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას ევროპული ყაიდის სახელმწიფოს ჩამოყალიბება. დიახ, 24-25 ივნისი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იქნება სამი პოსტსაბჭოთა ქვეყნის (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო) ბედის განსაზღვრისთვის - ისინი ან რეალურად დაუახლოვდებიან ევროპას, ანდა კვლავ რუსული ორბიტის ნაწილად მოიაზრებიან, რაც ამ ქვეყნების პოლიტიკურმა ელიტამ სათანადოდ უნდა გააცნობიეროს და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

კანადის ახალი სანქციები – რუსეთს

კანადამ განაცხადა, რომ რუს ოლიგარქებზე დამატებით სანქციებს აწესებს და აკრძალავს რუსეთში ან რუსეთიდან ფუფუნების საგნების ექსპორტსა და იმპორტს. ამის შესახებ ინფორმაციას BBC-ი ავრცელებს. მისივე ინფორმაციით, ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ახალი სანქციები შეზღუდვებს 14 პირს, მათ შორის რუს ოლიგარქებს, მათი ოჯახის წევრებსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის უახლოეს თანამოაზრეებს დაუწესებს.

„ამ პირებმა უკრაინაში ვლადიმერ პუტინის უაზრო ომი უშუალოდ დაუშვეს და უკრაინელი ხალხის ტკივილსა და ტანჯვაზე პასუხისმგებელნი არიან“, - ნათქვამია განცხადებაში.

როგორც BBC-ი იუწყება, იმპორტის აკრძალვით მიზანში ამოღებული იქნება რუსული საქონელი, მათ შორის, ალკოჰოლური სასმელები, ზღვის პროდუქტები, ბრილიანტები და სხვა, ხოლო ექსპორტის აკრძალვა ეხება ფუფუნების საგნებს, როგორიცაა ფეხსაცმელი, ძვირად ღირებული ტანსაცმელი და სამკაულები.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უკრაინისთვის 100 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების დამატებითი სამხედრო დახმარების გამოყოფის ნებართვა გასცა. ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს. აღნიშნული დახმარების ჩათვლით, შეერთებული შტატებმა 24 თებერვლიდან დღემდე უკრაინას, იარაღისა და აღჭურვილობის სახით, 3.9 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების დახმარება გამოუყო. ამასთან, აშშ-ის სენატმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომლითაც უკრაინა დამატებით 40 მილიარდი დოლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას მიიღებს.

* * *

ფინეთს რუსეთი დღეიდან გაზის მიწოდებას შეუწყვეტს, - გადაწყვეტილების შესახებ რუსულმა „გაზპრომმა“ ფინეთის გაზის სახელმწიფო კომპანია Gasum-ს გუშინ აცნობა. ფინეთის სახელმწიფო გაზის კომპანია მომხმარებლებისთვის ბუნებრივი აირის მიწოდებას სხვა წყაროებიდან „Balticconnector“-ის მილსადენის მეშვეობით გეგმავს. „უახლოეს თვეებში შევძლებთ ყველა ჩვენს აბონენტს გაზი მივაწოდოთ“, - განაცხადა Gasum-ის აღმასრულებელმა დირექტორმა.

* * *

რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი შოიგუს განცხადებით, რუსულ ძალებს „აზოვსტალში“ გამაგრებული უკვე 2000-მდე ჯარისკაცი „ჩაბარდა“. ინფორმაციას BBC ავრცელებს, თუმცა გამოცემა განმარტავს, რომ მათ აღნიშნული მონაცემების დამოუკიდებლად დადასტურება ვერ შეძლეს. გუშინ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის უწყებამ განაცხადა, რომ „აზოვსტალში“ გამაგრებულმა, დაახლოებით, 1700-მა ჯარისკაცმა დაყარა იარაღი. ისინი რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაიყვანეს. მათივე ინფორმაციით, უცნობია, რამდენი უკრაინელი ჯარისკაცი იმყოფება ამ დროისთვის ქარხანაში.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მეზობელ ქვეყნებში გავრცელებას არ გამორიცხავს, - ამის თაობაზე მან პარიზში, მოლდოველ კოლეგა მაია სანდუსთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა. მისივე თქმით, საფრანგეთი აპირებს ყურადღებით მიადევნოს თვალი რეგიონალურ უსაფრთხოებას და მოლდოვის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ნებისმიერ შესაძლო ხელყოფას. მაკრონმა განაცხადა, რომ სურს, ევროკავშირმა „სწრაფი აზრი“ გამოთქვას მოლდოვის ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნაზე.

* * *

შვედეთი და ფინეთი, იდეალურ შემთხვევაში, ნატოს შესაძლოა, მომდევნო რამდენიმე თვეში შეუერთდნენ, - განაცხადა ნატოში აშშ-ის ელჩმა ჯულიანა სმიტმა. ამერიკელი დიპლომატი დარწმუნებულია, რომ ალიანსი შეძლებს და ჩრდილოევროპული ქვეყნების გაწევრიანების შესახებ თურქეთის მიერ გამოთქმულ შეშფოთებას გაუმკლავდება. „მოკავშირე თურქეთმა გარკვეული შეშფოთება გამოთქვა. მათ უსაფრთხოების სპეციფიკური შეშფოთება აქვთ, რასაც ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეკიდებით“, - აღნიშნა ელჩმა.

მოამზადა
ია შველიძემ

„კიდევ კარგი, რომ მოვიწვიეთ ექსპერტიზა და აღმოვაჩინეთ პრობლემები“

რა ხდება ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში?

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (ვაჟა-ფშაველას ქ. №21) ერთ-ერთი უძველესი ნაგებობაა აჭარაში. თავდაპირველად, ის ერთსართულიანი იყო (სწორედ ეს ნაგებობაა ასზე მეტი წლის, ბიბლიოთეკა 1902 წლის 13 ოქტომბერს დაარსდა). მოგვიანებით, გასული საუკუნის 50-იან წლებში, უკვე არსებულ ერთსართულიან შენობას დააშენეს და მიაშენეს დღევანდელი სამკითხველო დარბაზები

მას შემდეგ 60-ზე მეტი წელი გავიდა და, რა თქმა უნდა, შენობა კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. კედლები დეფორმირებულია. გამაგრება შენობას ნამდვილად სჭირდება. არ არის გასაკვირი, რომ მას შემდეგ, რაც 8 ოქტომბერს ბათუმში კორპუსი ჩამოინგრა და ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა, ყველა განსაკუთრებით ფრთხილობს. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი პროგრამის საფუძველზე ქალაქში ავარიული შენობა-ნაგებობების საინჟინრო ექსპერტიზას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ აწარმოებს. სწორედ ბიუროს დასკვნის საფუძველზე ხდება ამა თუ იმ ნაგებობის ლიკვიდაცია თუ აღდგენა-გამაგრება.

რაც შეეხება საჯარო ბიბლიოთეკას, მასში შესასვლელი კარგა ხანია ადაპტირებულია და შშმ პირებს პირველ სართულზე შესვლა თავისუფლად შეუძლიათ, მეორე სართულზე მოხვედრას კი, სათანადო პირობების უქონლობის გამო, ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას ადრეც სურდა შშმ პირებისთვის ლიფტის დამონტაჟება, რომელიც შენობას გარედან მიედგმებოდა, თუმცა ეს მაშინ ბევრმა გააპროტესტა, რადგან ჩაითვალა, რომ ეს შენობას დააზიანებდა - მის მდგრადობაზე მოახდენდა გავლენას, ამიტომ გადაწყდა, ნაგებობა შეემოწმებინათ. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც აჭარაში 2005-2006 წლის ოპტიმიზაციის შედეგად არაერთი ბიბლიოთეკა დაიხურა, ქალაქს დამოუკიდებელი სტატუსის მქონე - აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა, უძველესი და ერთადერთი, ქალაქის რამდენიმე ბიბლიოთეკის შეერთების ხარჯზე შემორჩა (ცალკე შენობაშია განთავსებული ამავე ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება, ივ. ჯავახიშვილის ქ. №72).

აი, რა გვითხრა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ჯონი საბაშვილმა, რომელიც მას ამა წლის იანვრიდან ხელმძღვანელობს:

- მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკაში დავინიშნე, თავი იჩინა პრობლემამ, რომელიც ჩემამდეც არსებობდა - ბიბლიოთეკაში არ არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტი. მის დასამონტაჟებლად სპეციალისტები რომ მოვიყვანეთ, რათა სამუშაოები შეფასებულიყო და ტენდერი გამოგვეცხადებინა, მათ გვითხრეს, რომ სანამ არ ექნებოდათ სამხარაულის ბიუროს შესაბამისი დასკვნა, მანამ ლიფტს არ/ვერ დაამონტაჟებდნენ (ლიფტი ეზოს მხრიდან უნდა გაკეთებულიყო). მოვიწვიეთ კიდეც სამხარაულის სამსახურის წარმომადგენლები და რახან მოწვეული გვყავდა, გადავწყვიტეთ, ბიბლიოთეკის შენობა მთლიანად შეგვემოწმებინა. აღმოჩნდა, რომ შენობა ბევრგან დაზიანებულია და არეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოებს მოითხოვს. საინტერესო ისაა, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი, ერთსართულიანი შენობა საუკუნეზე მეტი ხნისაა (პირველი არის 120 წლის, მეორე, მიშენებული - 60 წლის), მიშენებული უფრო ავარიულია - 70 პროცენტია დაზიანება. სანამ სამხარაულის დასკვნას დადებდნენ, მანამდე ბიბლიოთეკაში სანიტარიული სამუშაოები ჩატარდა. რატომღაც ზოგიერთი მედიის საშულებით გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რომ რემონტი კი არ ჩაუტარდება, არამედ ბიბლიოთეკა შეწყვეტს ფუნქციონირებას. არავითარი პანიკის საფუძველი არ არსებობს, სამხარაულის ბიუროს წარმომადგენლები ჩვენ მოვიწვიეთ და ისიც ვთქვი, რატომ. კიდევ კარგი, რომ მოვიწვიეთ ექსპერტიზა და აღმოვაჩინეთ პრობლემები. ბიუროს დასკვნის საფუძველზე, სარეკონსტრუქციო სამუშაოები აუცილებლად უნდა ჩატარდეს, შენობა კი ამ სამუშაოების დროს დაიცალოს, რასაც დრო სჭირდება. წიგნების გატანასაც თავისი წესი აქვს. კიდევ ვამბობ, მოხარული ვარ, რომ ეს პრობლემები დროულად აღმოვაჩინეთ და, როგორც იტყვიან, „შარი“ არ ვნახეთ. ამ ეტაპზე ვეძებთ შენობას, სადაც შეგვეძლება ბიბლიოთეკის ფონდის განთავსება და მკითხველის მომსახურება. მანამდე კი ბიბლიოთეკა გადავიდა დისტანციურ მომსახურებაზე, ისე როგორც ეს პანდემიის დროს იყო. ამის კარგი გამოცდილებაც უკვე აქვს ბიბლიოთეკას. მართალია, ახლა ჩვენი დაწესებულება დახურულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სამუდამოდ დაიხურა - ეს არასწორი ინფორმაციაა. ბიბლიოთეკას ხელს არავინ ახლებს და ის უპირობოდ დარჩება თავის ადგილზე, - გვითხრა ჯონი საბაშვილმა.

- გახსოვთ, ალბათ, რომ იყო დრო, როცა ამ ბიბლიოთეკის გაუქმებასაც აპირებდნენ (მაშინ არაერთი ბიბლიოთეკა დაიხურა კიდეც), ბათუმელებმა დაიცვეს ის. მის დახურვას არც ახლა და არც არასდროს დაუშვებენ არც ბათუმელები და არც ბიბლიოთეკის თანამშრომლები. ის კი არადა, რომ გაამაგრებენ, თუ შესაძლებელი გახდება, კოლექტივის სურვილია, მასზე მესამე სართულიც დაშენდეს, რა თქმა უნდა, სათანადო ექსპერტიზისა და გამაგრების შემდეგ და თუ ეს შესაძლებელი გახდა, ქალაქს ექნება 120 წლის უნიკალური ბიბლიოთეკა, უნიკალური ფონდით, რაც ქალაქისა და მისი სტუმრებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილად კვლავ დარჩება, - გვითხრა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნატო ჭყონიამ.

ვიხილავთ თუ არა დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით მედეა ვასაძეს?

ნანა აბულაძე 591 98 59 17

აჭარის უმაღლესი საჭოს დეპუტატი მედეა ვასაძე არ გამორიცხავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ორგანოს ოპოზიციური ფრთა ბოიკოტის რეჟიმს გააგრძელებს, მას მოუწიოს გადაწყვეტილების მიღება, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით საქმიანობის გაგრძელებას

განცხადება აღნიშნულის შესახებ დეპუტატმა უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დაწყებამდე გააკეთა, რის შემდეგაც დარბაზი დატოვა და აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა შეუერთდეს ოპოზიციური ჯგუფის გადაწყვეტილებას, რომელიც ბოიკოტის რეჟიმში იმყოფება, თუმცა, თუ არაფერი შეიცვალა, ამ რეჟიმში ვეღარ გააგრძელებს მუშაობას. „ვფიქრობ, ორ წელში გავთავისუფლდები პოლიტიკოსის ტვირთისგან და მინდა, ეს ორი წელი მაინც ვიყო ღირსეულად სკამზე“, - თქვა მან. მედეა ვასაძე, ასევე, შეეხო აჭარის მთავრობის სახლთან ოპოზიციონერი დეპუტატების დაკავების საკითხს და აღნიშნა, რომ ამ ფაქტმა საზოგადოებაში შეიძლება გამოიწვიოს საკანონმდებლო ორგანოსადმი ნდობის შესუსტება, ან დაკარგვა.

- მგონია, რასაც ვფიქრობ, იმავეს ფიქრობს „ნაციონალური მოძრაობაც“, ვგულისხმობ იმას, რომ ამდენი გასვლა-შემოსვლა არ ეკადრება არც უმაღლეს საბჭოს და არც უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსს. მიმაჩნია, რაღაც გარკვეული ზეგავლენა რომ ჰქონდეს ბათუმში მათ მოთხოვნას, რომელიც მესამე პრეზიდენტის საზღვარგარეთ გადაყვანას ეხება, ან მკურნალობას, კი, ბატონო, მაგრამ აჭარის მთავრობის და საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეებისთვის ამის მოთხოვნას არავითარი გავლენა არ აქვს. ოპოზიციაში ამბობენ, საზოგადოების ზეწოლა და აქტიურობა დასახულ შედეგამდე მიგვიყვანსო, მაგრამ, აი, ამ შუალედში ბევრი რამ იკარგება. მაგალითად, ჩემთვის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსი ჩაკარგულია სადღაც... მგონია, პარტია გადაწყვეტს, ან ვიყოთ ბოიკოტში, ან ბოლოს და ბოლოს განვახორციელოთ ჩვენი უფლებამოსილება და მოხარული ვიქნები, თუ ჩემს უფლებამოსილებას სხდომაზე შევასრულებ. არიან ადამიანები, რომლებიც ბოიკოტის პირობებში ახერხებენ ქუჩაში აქციებზე დგომას, მე ქუჩისთვის აღარ ვვარგივარ. დამოუკიდებლად შევუდგები თუ არა საკანონმდებლო საქმიანობას, ეს დაახლოებით ორ თვეში მეცოდინება, ვიფიქრებ ამაზე, რადგან ეს უკვე ძალიან მაწუხებს. მაწუხებს, ვიღებდე საკმაოდ სოლიდურ ხელფასს და ვერ ვიდგე აქციებზე ქუჩაში ისე ეფექტურად, როგორც ახალგაზრდობაში, ან არ ვიჯდე დარბაზში და არ ვასრულებდე ჩემს უფლება-მოვალეობას, - განაცხადა მედეა ვასაძემ.

დეპუტატმა ასევე ისაუბრა თავის დამოკიდებულებაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძის მიმართ.

- უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არის უაღრესად გაწონასწორებული ადამიანი, მან დღევანდელ სხდომაზე აღნიშნა კიდეც: თუ ოდესმე რაიმე მცირედიც შემეშალა ოპოზიციონერი დეპუტატების მიმართ, ბოდიშს ვიხდიო. ეს არის არაჩვეულებრივი თვისება ადამიანში, რასაც ძალიან ვაფასებ. რაც შეეხება მთავრობის თავმჯდომარეს, რა თქმა უნდა, მასთან შენიშვნა მქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი დარბევების ინიციატორი იყო მისი ოჯახი, მე ეს კარგად მახსოვს. მაგრამ რამდენჯერმე მასთან პირადი კომუნიკაციის შემდეგ, რომელიც მანამდე ხშირად არ მქონია, დავინახე მისი ჯანსაღი პოზიცია, რომელმაც როგორც თავმჯდომარისადმი, გამიჩინა გარკვეული სიმპათიები, ეს ადამიანური განწყობებია. როცა ვთვლი, რომ პოლიტიკურად ვალდებული ვარ რაღაც შენიშვნა ვთქვა, ვამბობ კიდევაც, - აღნიშნა ვასაძემ.

დეპუტატის განცხადებაზე პასუხი ოპოზიციური პარტიის ბოიკოტის თემის შეფასებით დაიწყო აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ. დავით გაბაიძის თქმით, ოპოზიციას არასოდეს ელევა ბოიკოტის მიზეზი, მათ შორის - ბანალური.

- მეექვსე წელია, ერთსა და იმავე შემადგენლობასთან ერთად მოვდივარ უმაღლეს საბჭოში, მათ შორის ოპოზიციას ვგულისხმობ და მათი მხრიდან ამ დროის განმავლობაში მუდმივად მესმის, რომ ბოიკოტის რეჟიმში არიან, რომლის საფუძველიც, ხშირად, იმდენად ბანალური და უმნიშვნელოა, ნახევარზე მეტს ვერც გავიხსენებ. ზოგადად, პოლიტიკური ბოიკოტი არის სერიოზული ინსტრუმენტი პოლიტიკური ბრძოლის და არ შეიძლება, ასე ყველაფერზე მისი გამოყენება, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როცა იმ ორგანოს, რის საპირწონედაც აყენებ ბოიკოტის საკითხს, ამის კომპეტენცია და უფლებამოსილება არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ეს არის საკითხი, რომლის შეცვლის არც სამართლებლივი, არც პოლიტიკური უფლებამოსილება უმაღლეს საბჭოს არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მათი პოლიტიკური არჩევანი ბოიკოტის შესახებ არ არის სწორი, მაგრამ ამაზე საუბარს ალბათ შევწყვეტ გამომდინარე იქიდან, რომ ის, რაც 6 წლის განმავლობაში ვერ მივიტანეთ ჩვენს კოლეგებამდე, არა მგონია, აწიც იყოს ეფექტური, თუმცა, სხდომაზე გამოვთქვი იმედი და ამაში დარწუნებული ვარ, ოდესმე ისინი მაინც მიხვდებიან, რომ პოლიტიკური ბოიკოტის ეს ფორმა არასწორია. რაც შეეხება ქალბატონი მედეას მიერ გაჟღერებულ კიდევ ერთ საკითხს - უმაღლესი საბჭოს წევრების დაკავებას, უკვე აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ: არცერთი პირის დაკავება, ბუნებრივია, არ მიხარია, არ მსიამოვნებს და, მით უმეტეს - როცა ეს ეხება უმაღლესი საბჭოს წევრს. ვისურვებდი, რომ მათ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის სტატუსი არ მიეცეთ. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ - ისინი ისარგებლებენ სამართლიანი სასამართლოს უფლებით. მიმაჩნია, დღეს ჩვენი მართლმსაჯულება არის იმ დონეზე, რომ შესაძლებელია მათ გადაწყვეტილებებს ვენდოთ, მით უმეტეს, როდესაც გვქონია შემთხვევები, რომ ხშირად გამართლებულან კიდეც, მათ შორის, პოლიტიკური ოპონენტები. ვისურვებდი, უმაღლესი საბჭოს წევრს არ ჰქონდეს ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის სტატუსი. ერთადერთი მთავარი საქმე, რითიც უნდა დაკავდნენ ჩემი კოლეგები, არის უმაღლეს საბჭოში საქმიანობა. დღეს იყო საუბარი იმაზე, რომ ჩვენ ძალიან ბევრს ვსაუბრობთ უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციურ გაძლიერებაზე და რა უნდა გავაკეთოთ, რომ მაგალითად, არ მოხდეს მსგავსი ფაქტები დეპუტატების მიმართ. უნდა გავაკეთოთ ის, რომ დეპუტატებმა ჩვენი საქმე ვაკეთოთ და ჩვენი პოზიცია, პირველ რიგში, დავაფიქსიროთ სწორედ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თუ საკომიტეტო დარბაზებში, - განაცხადა დავით გაბაიძემ.

მზია სალვარიძე - აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვის ერთ-ერთი მეციხოვნე

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის მწერალთა სახლში მწერალ მზია სალვარიძის წიგნის „არ გადაგვქართულდა!“ წარდგენა გაიმართა, რომელიც აჭარის მწერალთა სახლის ინიციატივითა და დაფინანსებით გამოიცა. მისი რედაქტორია ლალი კონცელიძე, ტექნიკური რედაქტორი - მალხაზ ფალავა

ის, რომ წიგნმა უკვე მიიქცია ფართო საზოგადოების ყურადღება და მას ინტერესით კითხულობენ, ეს კარგად გამოჩნდა მის განხილვაზე, რომელსაც მწერალთა სახლის დირექტორი ლალი კონცელიძე უძღვებოდა.

ვრცელი მიმოხილვით გამოვიდა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორი შორენა მახაჭაძე, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ დიალექტების სიცოცხლე აუცილებელია, რათა ენას ჰქონდეს შინაგანი განახლება-გამდიდრების საშუალება, ამასთან, მათი ოსტატურად გამოყენება აუცილებელიცაა... „ზოგადად, აჭარული დიალექტით დაწერილი ნოველები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს... მზია სალვარიძეს ეხერხება ნოველისეული მოულოდნელი ფინალით მკითხველის გაოცება. ასეა პირველივე ნოველაში,

რომლის სათაურმა („ნენიკულაი“) მიმიზიდა და კითხვასაც მოლოდინით სავსე შევუდექი. ავტორმა ოსტატურად შექმნა ინტრიგა, დაგვიხატა სასიყვარულო სამკუთხედი... მასში კარგადაა გადმოცემული ჩვენებურების ფესვების ტკივილიც... 18 მოთხრობაა ამ წიგნში და მათი კითხვისას მივეჩვიე და შევიტკბე მშობლიური აჭარულით დაწერილი ტექსტები... მისი პროზაული ტექსტების კრებული შედგება აბსოლუტურად განსხვავებული ენისა და სტილის ნაწარმოებებისგან. იგი მთავრდება აჭარული დიალექტით შესრულებული ტექსტი-მიმართვით - „არ გადაგვქართულდა!“. გულწრფელი, მზიანი, ღიმილიანი და იმედიანია დასასრული, რადგან მწერალს სჯერა ქართული გენისა და სისხლის უკვდავებისა, ეს კი ღირებული რწმენაა“, - აღნიშნა შორენა მახაჭაძემ.

წიგნის შესახებ კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე წერს: „არ გადაგვქართულდა!“ საკმაოდ ნოყიერი მასალაა კრიტიკოსთათვისაც და ლინგვისტებისთვისაც, მათ რომ უნდა დაადასტურონ ის ჭეშმარიტება, ენა - თავისი მრავალი შრითა და განზომილებით - სხვადასხვა ნაკადების წყალობით რომ ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას; ამ ნაკადთა შორის თვალსაჩინო უნდა იყოს ზეგავლენა დიალექტებისა, სულაც ცალკე მოვლენად უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ლიტერატურაში დიალექტური პოეზიაც და პროზაც, ისევე, როგორც თუნდ ფრანგულ და იტალიურ მწერლობაშიც გათვალსაჩინოებულა და მხოლოდ აფართოებს ეს მიმდინარეობანი ჩვენს წარმოდგენას ლიტერატურის მთლიან მდინარებაზე. და ამ გამრავალფეროვნების გზაზე უდავოდ საგულისხმო მოვლენაა მზია სალვარიძის „არ გადაგვქართულდა!“ - ხელშესახები ძიება ოქროს შუალედის მისაგნებად, როგორც მომხიბლავი ფერი და ხვეული ათასგვარად აელვარებულ ფარდაგზე“.

მზია სალვარიძე წარმოშობთ მაჭახლის ხეობიდანაა. არის გურამ რჩეულიშვილის კონკურსის გამარჯვებული, მიღებული აქვს სიგელი პროზაული ნაწარმოებებისთვის „სისხლის ყივილი“. როგორც მწერალი წინათქმაში წერს, მისი გვარის სამოსახლო სულ რამდენიმე კილომეტრითაა დაცილებული თურქეთის საზღვარს. როგორც ბევრი სხვა ქართველი, ისიც შეიძლებოდა, ყოფილიყო თურქეთის გურჯი მოქალაქე, მაგრამ სადაც უნდა ყოფილიყო, ისევე არ გადაქართულდებოდა, როგორც იქ მცხოვრები ჩვენებურები არ გადაგვარდნენ... „დიალექტურ ნაწარმოებებზე მუშაობისას უმნიშვნელოვანესია სალიტერატურო და სალაპარაკო ენებს შორის ოქროს შუალედის მიგნება. ბევრად მეტი პასუხისმგებლობა და სიფრთხილე მართებს ავტორს, როცა ამ გზას ირჩევს... ვიზიარებ კონსტანტინე გამსახურდიას მოსაზრებას, რომ დიალექტი ენის სიმდიდრეა, მაგრამ ძალიან მიკვირს, როცა ლიტერატორები ებრძვიან მის შემოდინებას სალიტერატურო ენაში... მიმაჩნია, რომ ამ თემაზე იმას არ უნდა ეკამათო, ვინც დიალექტთან დაკავშირებულ თემებს ზედაპირულად განიხილავს... „არ გადაგვქართულდა“ - ეს იმდენად მრავლისმომცველი ფრაზაა ჩემთვის, რომ გადავწყვიტე, პროზაული კრებულის სათაურად ვაქციო“.

როგორც გამომსვლელებმა თქვეს, ეს არის ძაფი, რომელიც წინა ორსაუკუნოვან და მომავალ თაობებს გააერთიანებს.

პოეტმა როინ აბუსელიძემ აღნიშნა: „ძნელია, წერო ერთნაირი სიძლიერით როგორც პოეზიაში, ისე პროზაში. მზია სამი შვილის დედაა და ოჯახს შეუთავსო კარგად წერა, არ არის ადვილი. მან ეს შეძლო. რაც შეეხება წიგნს, არის გულწრფელი და ემოციური, თითქოს - ავტობიოგრაფიულიც“.

როინ აბუსელიძე მაღალმთიან აჭარაში, სხალთის ტაძარში, სხვებთან ერთად, დაუგეგმავად გახდა ქალბატონი მზიას ნათლია.

- დიდი ხანი ველოდით ამ დღეს. ჩვენს მწერალთა ორგანიზაციას პოეტი ბევრი ჰყავს, მაგრამ პროზაიკოსები - ნაკლებად. მზია როგორც კი გამოჩნდა თავისი განსაკუთრებული მოთხრობებით, სწრაფად მივიღეთ, რომ არსად „გაქცეულიყო“ და სხვას არ წაერთმია. „შემოვიჩვიეთ“ და ახლა ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი ლამაზი და აქტიური წევრია. ხშირად იბეჭდება „ჭოროხში“, სხვა პერიოდულ გამოცემებში. რაც შეეხება წიგნს, ჩვენი თხოვნით გამოიცა, რადგანაც ჩავთვალეთ, რომ უკვე იყო ამის დრო. მინდა აღვნიშნო, რომ იმ ხეობის, სადაც მზია დაიბადა და გაიზარდა, ბევრი სიტყვა გაუგებარია ფართო საზოგადოებისთვის, მაგრამ მზია არასოდეს უკადრისობდა, როცა შენიშვნას მივცემდით. საბოლოოდ, წიგნმა მოიგო. ვიცი, რომ ის ისევ გაგვახარებს ახალი ნაწარმოებებით, - თქვა აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დავით თედორაძემ.

- დღვანდელი დღე გამორჩეულია იმით, რომ ყველა ერთად გავხდით მზიას სიყვარულის თანაზიარი. ეს ბედნიერებაა, რადგან ხშირად ისეთ საზოგადოებაში ყოფნა გვიხდება, რომ ხანდახან თავის დასაცავად ზღარბის ეკლების გამოსხმა გვიწევს. დღეს ყველას გულწრფელად უხარია, გულით უსურვებს საუკეთესოს და ეს მან დაიმსახურა. ქართულ პოეზიაში, მწერლობაში ძალიან კარგადაა აჭარული ფრთა წარმოდგენილი. მხოლოდ ერთი მოთხრობა წავიკითხე - „ნენიკულა“ და ძალიან მომეწონა. ის იმ დიალექტზე წერს, რომელზეც ახლა, ფაქტობრივად, არ საუბრობენ. როცა წიგნს მთლიანად წავიკითხავ, ჩემს აზრს მაშინ გამოვთქვამ. მაგრამ ის, რაც დღეს აქ ხდება, ძალიან მიხარია. რაც მოვისმინე, ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, წინ დიდი სიამოვნება მელოდება, - თქვა მწერალმა გიზო თავაძემ.

- მზია არ ხატავს, მაგრამ მაინც ხატავს, არ მღერის, მაგრამ... ისე წერს, რომ მღერის. ის თავის ლექსებს შესანიშნავად კითხულობს. ეს იშვიათი სინთეზია. მზია არის ის მწერალი, ვისი წიგნიც აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაში, რადგანაც ეს დიდი სიმდიდრეა, - აღნიშნა აჭარის, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ.

- მზია სხვებისგან განსხვავებული და ძალიან მოსაფერებელია. წიგნის სათაური არაჩვეულებრივია, ეს აუცილებელია, რომ არ გადავქართულდეთ. ქალაქი შეიძლება სულ მალე არაფერი გახდეს სოფლის გარეშე, ჩვენ ამასაც ვერ ვაცნობიერებთ. იქ, სოფელში, ირწევა მთავარი აკვანი და ჩვენ - ქალაქელები მხოლოდ „მომხმარებლებად“ ვიქეცით. მზია ყველაზე მთავარზე იმდენად ღრმა და ემოციურად წერს, რომ ვერ მოწყდები. ემოციით წასაკითხი კრებულია, რომელიც ყოველთვის ჩაგაფიქრებს და გულს გაგითბობს ამ გაყინულ სააქაოში, ჩვენებურთა გულის სიღრმიდან ამოძახილი და დანაბარები გადაღმა საქართველოსი. ეს დანაბარები მზია სალვარიძემ ამ კრებულით ძალიან კარგად შეასრულა სწორედ მათ დასანახად და გასაგონად. მზიას შემოქმედება ეს არის ენისა და დიალექტის საუცხოო სინთეზი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჩვენი მხარის უდიდესი საგანძური, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ქართველი ერისთვის, ჩვენი სამეცნიერო წრისთვის. ქართული წარმოშობის და აჭარულ კილოში შემორჩენილ ძალიან ბევრ სიტყვას მისმა შემოქმედებამ ახალი სიცოცხლე შესძინა. ჩვენთან დაგვყვება გაყოფილი საზღვრის ნაკვალევი და დღემდე ვატარებთ ამ დიდ ტკივილს, ამიტომაც არის მზია სალვარიძის შემოქმედება უფრო ძვირფასი ყველასთვის და დასაფასებელი. დღეს იშვიათად გვესმის სიტყვა მამულის, სამშობლოს სიყვარულზე. მზიას თითოეულ წინადადებაში კი ეს კარგად გამოსჭვივის. მინდა კიდევ დიდხანს იყოს ჩვენ შორის, - აღნიშნა ისტორიის დოქტორმა, ეთნოლოგმა როინ მალაყმაძემ.

- ბათუმისა და ქუთაისის მწერლების ურთიერთობა წლებს ითვლის და, ვფიქრობ, ყოველი ასეთი შეხვედრა ამ ურთიერთობებში კიდევ ერთ ახალ ეტაპს ქმნის, რომელიც, საბოლოოდ, ქართულ საქმეს წაადგება. ვულოცავ მზიას წიგნის გამოცემას, რომლის წაკითხვის სიამოვნება წინ მელის, - თქვა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე რიტა წაქაძემ.

- ჩემთვის ამ კრებულით მზიამ გასაკუთრებული სიტყვა თქვა, სიტყვა, რომელსაც არ ამბობდნენ, უფრთხილდებოდნენ, - აღნიშნა პოეტმა გულო გაბაიძემ

- არ მეგონა, თუ ასე ლამაზად შეიძლებოდა დაწერა დიალექტზე. არ ვიცოდი, რომ

„არ გადაგვქართულდა!“ საკმაოდ ნოყიერი მასალაა კრიტიკოსთათვისაც და ლინგვისტებისთვისაც, მათ რომ უნდა დაადასტურონ ის ჭეშმარიტება, ენა - თავისი მრავალი შრითა და განზომილებით - სხვადასხვა ნაკადების წყალობით რომ ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას; ამ ნაკადთა შორის თვალსაჩინო უნდა იყოს ზეგავლენა დიალექტებისა, სულაც ცალკე მოვლენად უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ლიტერატურაში დიალექტური პოეზიაც და პროზაც, ისევე, როგორც თუნდ ფრანგულ და იტალიურ მწერლობაშიც გათვალსაჩინოებულა და მხოლოდ აფართოებს ეს მიმდინარეობანი ჩვენს წარმოდგენას ლიტერატურის მთლიან მდინარებაზე. და ამ გამრავალფეროვნების გზაზე უდავოდ საგულისხმო მოვლენაა მზია სალვარიძის „არ გადაგვქართულდა!“

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება სასურველ შედეგს მოგვცემს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე ოთხ წევრთან ერთად, პროექტის: „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი ძლიერი დემოკრატიისთვის“ ფარგლებში, ბორჯომში გამართულ სემინარებს დაესწრო. იგი მიღებულ შთაბეჭდილებებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე საუბრობს

- პროექტი „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი ძლიერი დემოკრატიისთვის“ თითოეული ჩვენგანისგან მოითხოვს წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში მეტ ჩართულობას. ბორჯომში მიწვევამდე, შუახევში იმყოფებოდა ამ პროექტის მენეჯერი კობა კიღურაძე, სემინარიც ჩაატარა. ამის შემდეგ, 11-13 მაისს, ქედის, სტეფანწმინდისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრებთან ერთად, მე, ფატი ჭაღალიძე, ზაზა დავითაძე, ვახტანგ ფუტკარაძე, თენგიზ ივანაძე ბორჯომში დავესწარით სემინარებს. პროექტი განახორციელა მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრმა. მასში ჩართული არიან გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, კარგი მმართველობის ინსტიტუტი და სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი პროგრამის - „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით. სემინარის დღეებში შინაარსიანი შეხვედრები გვქონდა ბორჯომის, სხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრებთან.

- რამდენად წაადგება ადგილობრივ თვითმმართველობას ამ პროექტის განხორციელება?

- „თვითმმართველობის კოდექსი“ ჩვენი საქმიანობის მთავარი დოკუმენტია. პროფესიით იურისტმა, კარგად ვიცი, რომ ყველა კანონს, კოდექსქვემდებარე აქტები, სხვა განმარტებანი მოჰყვება. ყველა დამეთანხმება, რომ მთიან რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობაზე გათვლით სოფლების ხელმძღვანელების არჩევამ, თუნდაც დანიშვნამ, მცირეკომლიანი სოფლების დაცარიელების პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა. მაჟორიტარ დეპუტატს, სოფლის ხელმძღვანელს ადამიანებთან სიახლოვე უნდა ჰქონდეს. წაბლანა, მოფრინეთი, სამოლეთი, კვირიაული საკმაოდ შორი დასახლებებია. იქ ერთ ხელმძღვანელს მუშაობა ნამდვილად უჭირს. ამ ეტაპზე გასაკეთებელი და გასათვალისწინებელი ბევრია. ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება, ჩვენი გათვლებით, სასურველ შედეგს მოგვცემს. პროექტი, რომელზეც ვსაუბრობთ, ამასაც ითვალისწინებს.

- შუახევი რა პრიორიტეტით გამოარჩიეს?

- შუახევში, როგორც წინა მოწვევის საკრებულოს, ასევე, ახლად არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოში მრავალი პროექტია ინიცირებული, რომელმაც ამომრჩეველთა ნდობა მოიპოვა. 7 მაჟორიტარიდან ყველა აქტიურადაა ჩართული იმ წინადადებების, სურვილების რეალიზებაში, იმ პრობლემების აღმოფხვრაში, რაც ამ ეტაპზე არსებობს. მწირი ადგილობრივი ბიუჯეტი ბევრის გაკეთების შესაძლებლობას ვერ იძლევა, მაგრამ თითოეული თეთრი მიზნობრივად იხარჯება. პროექტის არსებობის შესახებ რომ გავიგეთ, ჩვენც გამოვთქვით მზაობა მასში ჩასართავად.

- წარმომადგენლობით ორგანოში თქვენი არჩევის შემდეგ თითქმის 6 თვე გავიდა. უკვე გაქვთ საფუძველი, მკითხველს იმ ღონისძიებებზე ესაუბროთ, რაც დღემდე განხორციელდა?

- პირველი სხდომიდან მოყოლებული, მმართველი გუნდის ყველა წევრი ერთად ვცდილობთ, რომ სხდომებზე განხილული პროექტები, მიღებული დადგენილებები მუნიციპალიტეტის ინტერესებთან იყოს თანხვედრაში. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ყველაფერი ვადების დაცვით გაკეთდა. შუახევი იმ მუნიციპალიტეტებს შორისაა, სადაც ამ პროგრამის პრიორიტეტებზე კონკურსი გამოცხადდა. უკვე ორჯერ შევიტანეთ ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში, რამაც ახალი პრიორიტეტების, პროექტების დამტკიცება განაპირობა. მნიშვნელოვან პროექტებზე სამუშაოები უკვე დაწყებულია. შემოდგომაზე კეთილმოწყობილი სტადიონი, რეაბილიტირებული კულტურის სახლი გვექნება, ვითარდება ჭვანის ხეობის, მთა ჩირუხის ტურისტული ინფრასტრუქტურა.

- რამდენად ამართლებენ თქვენი რეკომენდაციით წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული ან დანიშნული კადრები?

- თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარეობისას რამდენიმე პერსპექტიული, ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდა წარმოჩნდა. მათ შესწევთ უნარი, იყვნენ მმართველობით ორგანოებში დასაქმებულნი. მერიაში რამდენიმე ახალი განყოფილება შეიქმნა, სადაც კონკურსგავლილი სპეციალისტები დაინიშნენ. ახალი სახეები გამოჩნდა საკრებულოს აპარატში. ეს ადამიანები მათზე დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებენ. ამით ახლგაზრდა, მოტივირებული, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების მცოდნე კადრების შერჩევა-დაწინაურების პროცესი არ დამთავრებულა, კონკურსები ისევ იქნება.

- მუნიციპალიტეტის წარმატებაში დიდ როლს ასრულებს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების შეთანხმებული საქმიანობა. ხომ არ დაასახელებდით იმ მნიშვნელოვან პროექტებს, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წარმატებულად მიმდინარეობს?

- როცა მარჯვენამ იცის, მარცხენა რას აკეთებს, იქ პრობლემა იშვიათობაა. შარშან და მიმდინარე წლის ხუთ თვეში ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა ერთდროულად, რაც 70 წლის ისტორიის მქონე შუახევის რაიონს არ ახსოვს. ესენია: გზების, სარწყავი და სასმელი წყლების სისტემების მოწესრიგება, გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით 15-მდე სოფლისა და დაბა შუახევის წყალმომარაგების პროექტის დაწყება...

- საზოგადოებას კარგად ახსოვს საკრებულოში ოპოზიციის შეურაცხმყოფელი გამოსვლები. ამჯერად ოპოზიცია დუმილს ამჯობინებს. რა ფაქტორებმა განაპირობა ეს?

- 2021 წლის დეკემბერში, პირველი სხდომა რომ გაიმართა, ოპოზიციურ სპექტრს გარკვეული ამბიციები ჰქონდა, ასევე, 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებისას, მაგრამ... ხმამაღალი მსჯელობისას ურთიერთდაპირისპირებას გამოვრიცხავთ. ყოველთვის მოზომილი და არგუმენტირებული პოზიციით ვარეგულირებთ მათ გამოხდომებს. ისე, ოპოზიციის ერთი ნაწილი უკვე სხდომებსაც არ ესწრება.

- ზოგიერთ პროექტს მაინც თუ ეთანხმებიან?

- კი, გვქონდა ასეთი ფაქტები, რაც მისასალმებელია. ჩვენ კონსტრუქციულ, შემრიგებლურ პოზიციას ყოველთვის მივესალმებით. სხდომებზე საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს გახარიას პარტიის - „საქართველოსთვის“ პროპორციული სიით არჩეული დეპუტატი მერაბ დავითაძე.

- ამომრჩეველი, საზოგადოება დადებითად აფასებს მმართველი პარტიის დეპუტატების გუნდური პრინციპით მუშაობას. ეს ერთიანობა სათავეს საიდან იღებს?

- თავის დროზე, ყველა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, პროპორციული სიის ათეული, საღად მოაზროვნე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაში აქტიურად ჩართული პიროვნებებით დაკომპლექტდა. უკვე კარგად ჩანს, როგორი ავტორიტეტით სარგებლობენ მაჟორიტარები: ფრიდონ ფუტკარაძე, ემზარ აბაშიძე, ზაზა დავითაძე, მალხაზ ტაკიძე, გიორგი კეკელიძე, მურად ქათამაძე. ჩვენ ყველა თემას, პრობლემას, თუნდაც სხდომებზე წარმოდგენილ პროექტებს გუნდური პრინციპით განვიხილავთ.

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიუკაძის ინიციატივის საპასუხოდ მოსახლეობას, ამომრჩევლებს ხვდებით, რაც აქამდე გაკეთებულის ერთგვარი ანგარიშიცაა. რას ითხოვს მოსახლეობა ამ შეხვედრებზე?

- ეს მოთხოვნებია: ჭარბი შრომითი რესურსის დასაქმება, ტურისტული პოტენციალის ათვისება, რიგი სოციალური პრობლემის დროული მოგვარება, ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით, თამბაქოს რეალიზებაში თანადგომა, ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელშეწყობა, მივიწყებული კულტურული ურთიერთობების გაცოცხლება, სტიქიით დაზარებული ოჯახების დროული დახმარება. ამას რეგიონის ხელმძღვანელობისა და ჩვენგან დროული რეაგირება მოსდევს.

- ამომრჩეველი მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ათვისებასაც ითხოვდა. რა სიახლეებს უნდა ელოდნენ?

- მთა ღომასა და მის შემოგარენში ჯერ კიდევ თოვლია. ეს მთა ყველაზე ახლოსაა რაიონის ცენტრთან და ზღვისპირეთთან. აქ შესაძლებელია სამთო-სათხილამურო ტრასების მოწყობა, არსებული სამკურნალო წყლების გამოყენება. გარკვეული მუშაობა უკვე დაწყებულია. წელს აქ სტადიონი გაკეთდება, მოწესრიგდება ელექტროგაყვანილობის სისტემა, გაგრძელდება წაბლანა-ღომას შვიდკილომეტრიან საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის დაგება. ჩვენი მიზანია, მთა ღომა თანამედროვე სტანდარტების შესაფერისად განაშენიანდეს. უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორები ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

- რა არის მთავარი მოსახლეობის გულის მოსაგებად?

- მათთან სიახლოვე. შუახეველებს ტყუილი და იმედგაცრუება არ უყვართ. სულაც არ ვიღლები იმ დღეს, როცა ათეულობით ადამიანი მიღებაზე მოდის. მთიელი კაცი ოდითგანვე ხელისუფლების იმედზეა და მას ეს იმედი არ უნდა დავუკარგოთ.

- თუ გაიხსენებთ იმ ადამიანებს, ვისაც დაეხმარეთ?

- კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. თოვლიან დღეებში მძიმე სენით დაავადებულებს, თოვლში ჩარჩენილ ადამიანებს დავეხმარე. კომპეტენტურ ორგანოებს შუამდგომლობით მივმართე სოციალურად დაუცველი პირის მკურნალობის, გადაუდებელი ოპერაციის სრულად დაფინანსებასთან დაკავშირებით. მსურს თქვენი გაზეთით მადლობა გადავუხადო იმ ორგანიზაცია-დაწესებულებების, სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელებს, შუახევში დაბადებულ-დაფრთიანებულ ბიზნესმენებს, რომლებიც ჩვენს მოთხოვნებზე დროულად რეაგირებენ და გვერდით გვიდგანან. საკრებულოში, სახელფასო დანაზოგებით მმართველმა ბირთვმა საქველმოქმედო ფონდი შეექმენით და უკვე რამდენიმე ოჯახს ხელი წავაშველეთ. ეს პროცესი გაგრძელდება, მთავარია, მშვიდობა იყოს, ქვეყანა, ერი ხელისუფლების გონიერი ქმედებებით, საქართველოში ომის ახალი კერის გაჩენას, სამოქალაქო დაპირისპირებას გადაურჩეს.

- საკრებულოს 21 წევრიდან ქალი მხოლოდ სამია. რას გააკეთებთ ქალთა უფლებების დაცვისა და მათი როლის გაძლიერებისთვის?

- საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე შუახევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეა. მისი პრინციპული და შეუვალი პოზიცია გვავალდებულებს, ქალთა უფლებებს, მათი როლის გაძლიერებას მეტი ყურადღება დავუთმოთ. რიგ სხდომებზე გენდერული საბჭოს წინადადებებს, სურვილებს ოპოზიციამაც მხარი დაუჭირა. დედა და ქალი შუახევში ყოველთვის დაფასებული იყო და იქნება.

> ***„ეს მოთხოვნებია: ჭარბი შრომითი რესურსის დასაქმება, ტურისტული პოტენციალის ათვისება, რიგი სოციალური პრობლემის დროული მოგვარება, ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, განსაკუთრებით, თამბაქოს რეალიზებაში თანადგომა, ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელშეწყობა, მივიწყებული კულტურული ურთიერთობების გაცოცხლება, სტიქიით დაზარებული ოჯახების დროული დახმარება. ამას რეგიონის ხელმძღვანელობისა და ჩვენგან დროული რეაგირება მოსდევს***

ლატვიის წამყვანი ტურსააგენტოების წარმომადგენლები - აჭარაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, ინფოტურის მონაწილეებისთვის, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისა და ავიაკომპანია Air Baltic-ის ორგანიზებით იმართება, პრეზენტაციები და ადგილობრივ ტურსააგენტოებთან საქმიანი B2B შეხვედრები მოეწყო. გარდა ამისა, ლატვიელი სტუმრები აჭარის სამთო და საზღვაო ტურისტულ პროდუქტებს, სასტუმრო და ტურისტულ ინფრასტრუქტურას დაათვალიერებენ, რაც ბათუმის ტურისტული პაკეტების შემუშავებასა და ლატვიელი ტურისტების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

წელს, პირველად, ლატვიის დედაქალაქიდან ბათუმის მიმართულებით ფრენები დაიწყო. 8 მაისიდან სექტემბრის ბოლომდე ავიაკომპანია Air Baltic ფრენებს რეისით „რიგა-ბათუმი“ კვირაში 2-ჯერ შეასრულებს.

„ბალტისპირეთიდან აჭარას წამყვანი მედიასაშუალებების ჟურნალისტებიც სტუმრობდნენ, რომლებიც რეგიონის ძირითადი ტურისტული ღირსშესანიშნაობების, მთისა და ზღვის ტურისტული მიმართულებების შესახებ სტატიებსა და სიუჟეტებს მოამზადებენ.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ბალტიისპირეთიდან პრეს-ინფოტურების ორგანიზებას აქტიურად გააგრძელებს, რათა მეტ პოტენციურ ტურისტს მიაწოდოს ინფორმაცია ბათუმის, როგორც მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულების შესახებ. გარდა რიგისა, ტალინიდან და ლიეტუვადან ბათუმის მიმართულებით ჩარტერული ფრენები წელს ისევ შესრულდება, რაც ბალტისპირეთიდან რეგიონში ტურისტების შემოდინებას შეუწყობს ხელს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

საერთაშორისო პროგრამის „ეკოსკოლების“ დანერგვისა და გარემოსდაცვითი განათლების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავეს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მემორანდუმს ხელი განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა და ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ აღმასრულებელმა დირექტორმა ელენე ლოლაძემ მოაწერეს.

დოკუმენტი გარემოსდაცვითი განათლების ხელშემწყობ აქტივობებში პარტნიორობას ეხება. მათ შორის, შეთანხმება გულისხმობს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის „ეკოსკოლების“ აჭარის რესპუბლიკის საჯარო სკოლებში დანერგვასა და განვითარების ხელშეწყობას.

„ეკოსკოლა“ საერთაშორისო პროგრამაა, რომელიც, მოსწავლეებისა და მასწავლებლების გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების კუთხით ცნობიერების ამაღლებას უწყობს ხელს. პროგრამა მთელი მსოფლიოს მასშტაბით გარემოსდაცვითი განათლების ფონდის წევრ 70-ზე მეტ ქვეყანას და მილიონობით მოსწავლესა და მასწავლებელს აერთიანებს. პროგრამას ახორციელებს ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. იგი ეფუძნება შვიდსაფეხურიან მეთოდოლოგიას, რომლის ფარგლებში თითოეული სკოლა ირჩევს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ თემას და შესაბამის აქტივობებს ახორციელებს. შვიდივე საფეხურის წარმატებით გავლის შემდეგ, სკოლას „მწვანე დროშის“ მისაღებად, განაცხადის გაკეთების შესაძლებლობა ეძლევა, რითაც საქართველოს „ეკოსკოლების“ მსოფლიო რუკაზე მის კუთვნილ ადგილს დაუმკვიდრებს.

ანკა ჩხიკვაძე

წლის საუკეთესო მწვრთნელი...

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლაშა გუჯეჯიანი წლის საუკეთესო სპეციალისტად აღიარეს. EJU.NET მისი და ახალგაზრდა ძიუდოისტ გიორგი სარდალაშვილის წარმატებაზე წერს: „ერთ დროს წარმატებული ძიუდოისტი ლაშა გუჯეჯიანი მწვრთნელის რანგშიც წარმატებულია. ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ნაკრებმა 4 მედალი მოიპოვა, მათ შორის განმაცვიფრებელი ოქრო ლაშა ბექაურმა მოუტანა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში“;

„საქართველოს ძიუდოისტთა მომავალი ვარსკვლავი 18 წლის გიორგი სარდალაშვილია. 2021 წელს 60 კგ-ში ქართველმა პირველად აიღო ვერცხლის მედალი ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე. მისი კუმირი ილიას ილიადისია“.

შეგახსენებთ: 3-5 ივნისს თბილისის გრანდ-სლემი გაიმართება.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

მარიუპოლის „აზოვსტალის“ ფოლადის ქარხნიდან, სავარაუდოდ ,1700 უკრაინელი ჯარისკაცი ჩაბარდა, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ინფორმაციაშია აღნიშნული. მისივე ცნობით, უცნობია, რამდენი უკრაინელი ჯარისკაცი იმყოფება ამ დროისთვის ქარხნის ტერიტორიაზე. „როგორც კი რუსეთი მარიუპოლს დაიკავებს, მოსალოდნელია, რომ საკუთარ ძალებს დონბასში ოპერაციის გასაძლიერებლად გადაისვრის“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. ამასთან, ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში განმარტავენ, რომ ომის დაწყების დროიდან მარიუპოლში უკრაინის მტკიცე წინააღმდეგობა ნიშნავს, რომ რუსული ძალები ამ მხარეში ხელახლა უნდა აღიჭურვონ, სანამ ისინი ეფექტურ დისლოცირებას განახორციელებენ. ამასთან, ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში განმარტავენ, რომ რუსი მეთაურები ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან, რის გამოც ისინი, ძალებს, სავარაუდოდ, ადეკვატური მომზადების გარეშე გადაანაწილებენ. „რუსი მეთაურები იმყოფებიან ზეწოლის ქვეშ, რომ ოპერატიული მიზნებს დემონსტრაციულად მიაღწიონ. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი, სავარაუდოდ, გადაანაწილებს თავის ძალებს ადეკვატური მომზადების გარეშე“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

ლუგანსკის ოლქში ბოლო 24 საათის განმავლობაში რუსული ძალების მიერ განხორციელებულ დაბომბვას მინიმუმ 13 მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა, - ამის შესახებ ოლქის გუბერნატორი სერჰი გაიდაი „ტელეგრამზე“ წერს. მისი ინფორმაციით, აღნიშნული პირებიდან 12 ქალაქ სევეროდონესკში დაიღუპა. გუბერნატორი ასევე წერს, რომ სევეროდონესკში რუსული ძალების მიერ განხორციელებული თავდასხმა წარუმატებელი იყო და მათ უკან დაიხიეს.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ უკრაინას 100 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების დამატებითი სამხედრო დახმარების გამოყოფის ნებართვა გასცა, - ინფორმაციას ღეუტერს-ი ავრცელებს. პენტაგონის პრესსპიკერის, ჯონ კირბის განცხადებით, დახმარების ახალი პაკეტი მოიცავს 18 დამატებით 155 მმ-იან ჰაუბიცას, 18 ტაქტიკურ მანქანას და არტილერიის საწინააღმდეგო 3 რადარს. აღნიშნული დახმარების ჩათვლით, შეერთებული შტატებმა 24 თებერვლიდან დღემდე უკრაინას, იარაღისა და აღჭურვილობის სახით, 3.9 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების დახმარება გამოუყო. ამასთან, აშშ-ის სენატმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომლითაც უკრაინა დამატებით 40 მილიარდი დოლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას მიიღებს.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

რა გაკეთდა და რა იგეგმება 2022 წელს – მინისტრის ანგარიში

პირველი გვერდიდან

მინისტრმა კანონმდებლების წინაშე ისაუბრა კულტურის მიმართულებაზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, პანდემიის პირობებში ყველაზე მეტად დაზარალდა. მაია ხაჯიშვილის ინფორმაციით, გაგრძელდება კულტურის სფეროში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ფოლკლორის განვითარების თვალსაზრისითაც. მაგალითად, მუნიციპალიტეტების კულტურის ცენტრების ფოლკლორული ანსამბლებისთვის შეძენილია სასცენო სამოსი, გამოიცა „აჭარული ორნამენტების“ ციფრული კატალოგი და სხვა. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა თანამედროვე მიმართულებებზე, 11 ფესტივალზე, რომელიც 2021 წელს ჩატარდა და, მათ შორის, ორ ახალზე - „პირველი ავტოგრაფი“ და „ლიმონი“, რომელიც არაფორმალური განათლების ხელშეწყობისთვის სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების მონაწილეობით დაფუძნდა. რაც შეეხება მუზეუმებს, მაია ხაჯიშვილმა აღნიშნა, რომ გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახელობის რეაბილიტირებული მუზეუმი, არქეოლოგიის მუზეუმში - წყალქვეშა არქეოლოგიის მცირე დარბაზი. მისივე თქმით, მუზეუმებში ვიზიტიორთა მზარდი რაოდენობა ცხადყოფს იმას, რომ სამუზეუმო ცხოვრება ბევრად საინტერესო გახდა რეგიონში. დეპუტატებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ მიერ 2021 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, პოპულარიზაციისა და განვითარების კუთხით გადადგმული ნაბიჯების შესახებ, რისთვისაც 1 564 279 ლარი დაიხარჯა. მაია ხაჯიშვილის ინფორმაციით, მთავრობის გადაწყვეტილებით, 2022 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ავარიული სახლების რეაბილიტაციის ფარგლებში, 10-მილიონიანი პროგრამის განხორციელება დაიწყება. რაც შეეხება სპორტის მიმართულებას, მინისტრის განცხადებით, ამ მხრივ ნაყოფიერი აღმოჩნდა 2021 წელი, რაზეც ის ფაქტი მიუთითებს, რომ აჭარამ სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე 280 მედალი მოიპოვა, მათ შორის 90 ოქრო, 77 ვერცხლი და 113 ბრინჯაო. რაც შეეხება სპორტულ ინფრასტრუქტურას, ექსპლუატაციაში შევიდა ბათუმის სპორტის სასახლე, დასრულდება ღორჯომის ჭიდაობის დარბაზისა და ჩაქვის ძალოსნობის ბაზის მშენებლობა, ასევე, შუახევის სტადიონის რეაბილიტაცია. დაგეგმილია ქობულეთის სპორტული კომპლექსის მშენებლობა, საჩოგბურთო კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტირება, ყინულის სასახლისა და საცურაო აუზის მშენებლობა, მუნიციპალიტეტებში რაგბის მოედნებისა და სარაგბო ბაზის მშენებლობა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა საერთაშორისო ურთიერთობებისა და გრანტების მოპოვების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ევროკავშირში საქართველოს განაცხადის შეტანის შემდეგ, სამინისტროს კავშირებიც თანამშრომლობის ახალ და უფრო დინამიკურ ფაზაში გადადის.

მინისტრის ვრცელი და ამომწურავი მოხსენების შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ძირითადად, დეპუტატთა კითხვები სკოლების ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხებოდა და უფრო სარეკომენდაციო ხასიათის იყო. ითქვა, რომ სასურველია ბათუმის ტერიტორიაზე კიდევ უფრო მეტი სკოლის აშენება, რადგან დეპუტატების თქმით, ამის საჭიროება არსებობს და 3-4 წელში კიდევ უფრო გაიზრდება.

- ჩემს გამოსვლაში მაქსიმალურად ვეცადე, წარმომეჩინა ის გამოწვევები, განხორციელებული პროექტები და მიღწეული შედეგები, რომელიც გვქონდა ჩვენს სისტემაში შემავალი თითოეული ადამიანის ჩართულობით განათლების, კულტურის, სპორტისა თუ ახალგაზრდობის მიმართულებით. ეს შედეგები, ბუნებრივია, მიზნად ისახავს თითოეული ახალგაზრდის, მოსწავლის, მეცნიერისა თუ სპორტსმენის მხარდაჭერას, კულტურის თითოეული მუშაკის ინიციატივის, მისი უნიკალური უნარების წარმოჩენას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, პანდემიური წლის მიუხედავად, მოვახერხეთ მრავალი პროექტის განხორციელება, ინიციატივის წარმოჩენა და, რაც მთავარია, ყველა მათგანი იყო გააზრებული და მორგებული იმ რეალობასთან და გამოწვევასთან, რაც არსებობდა თითოეულ სფეროში. შესაბამისად, ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების ჩართულობით მივიღეთ ეს შედეგები. დღევანდელი სხდომა წარიმართა ძალიან ინტერაქციულ რეჟიმში, არაერთი შეკითხვის პირობებში, სიახლე იყო მოსახლეობისგან შემოსული შეკითხვები და, ვფიქრობ, საინტერესო იყო დეპუტატების მოსაზრებებიც, რომლებსაც, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ სამომავლო ბიუჯეტის პროექტირებისას. „მინისტრის საათის“ ფორმატში ანგარიშის წარდგენა უმაღლესი საბჭოს დეპუტატაციის წინაშე ალბათ არის ის, რაც თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, რათა კიდევ ერთხელ შევაჯამოთ, გადავხედოთ ჩვენს საქმიანობას და გამოვკვეთოთ ის ახალი ნაბიჯები, რომელიც შემდგომში უნდა გადაიდგას, - განაცხადა მაია ხაჯიშვილმა.

მინისტრის ინფორმაციით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2022 წლის ბიუჯეტი 10 მილიონი ლარის მატებით არის დაგეგმილი. მისივე განმარტებით, უწყებისთვის მნიშვნელოვანია ყველა პროექტის მოცულობის მაქსიმალური ზრდა და ეფექტურად განხორციელება. ჩვენს კითხვაზე, იგეგმება თუ არა მასწავლებლებისთვის ხელფასის ზრდა, მინისტრმა აღნიშნა, რომ როგორც 2019 და 2020 წლებში, წელსაც 10-პროცენტიანი მატებით დაიგეგმა ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციაში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა.

- თითოეულ მასწავლებელს ვაძლევთ შესაძლებლობას, გაიაროს უფრო მეტი ტრენინგი, მეტად იყოს ჩართული ყველა სასკოლო პროცესში იმისთვის, რომ შეძლოს გამოცდების გზით სტატუსის ამაღლება, რაც, ასევე, უკავშირდება მათ ფინანსურ ანაზღაურებასაც, - გვითხრა მაია ხაჯიშვილმა.

მინისტრის ანგარიში დადებითად შეაფასა აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ და წარმატებები უსურვა უწყებას ამ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში.

- ჩვენ მოვისმინეთ მინისტრის საკმაოდ ვრცელი და ამომწურავი ანგარიში. რამდენად ვართ ან არ ვართ კმაყოფილები, ამასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ბიუჯეტს ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, შესაბამისად, აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში, ვფიქრობ, სამინისტრომ კარგად შეასრულა დასახული ამოცანები. არის მიმართულებები, სადაც, შესაძლებელია, იყო ხარვეზები, განსაკუთრებით ეს შეეხება კულტურის სფეროს, თუმცა ამასაც აქვს თავისი ახსნა. გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიის პერიოდში მოუწია სამინისტროს მუშაობა, ხარვეზები არ შეიძლება იყოს, ამ შემთხვევაში, განათლების სამინისტროს პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული მენეჯმენტის ბრალი. როგორც ვხედავთ, თანდათან გამოვდივართ პანდემიური მდგომარეობიდან და იმედი მაქვს, მომდევნო წელს უკვე აღარ ვისაუბრებთ იმაზე, რომ რაღაც ვერ გაკეთდა და ეს იყო გამოწვეული პანდემიით. ძალიან მნიშვნელოვანი საქმე კეთდება სკოლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, შენდება ახალი სკოლები, რეაბილიტაცია უტარდება უამრავ სკოლის შენობას. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასეთი გამალებული მშენებლობები განათლების სფეროში, განსაკუთრებით, სასკოლო ინფრასტრუქტურის მშენებლობის კუთხით, არ მახსენდება და ალბათ, მარტო არ ვარ, ვინც ასე ფიქრობს, - გვითხრა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეითი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 20/05/22, 20 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

უსასრულობაში წასული ნათელი ბიჭი, ურომლისობაც სკოლას განსაკუთრებით უძნელდება

***დათა შომახია** ერთ-ერთია იმ ტრაგედიის შედეგად დაღუპულთაგან, რომელმაც დაამუნჯა სრულიად საქართველო. 9 ადამიანს შორის, რომლებიც 26 მაისის ქუჩაზე მომხდარ სრულიად „გაუგებარ“ და გაუმართლებელ, გულგრილობისა და დანაშაულის შედეგს (კორპუსის ერთი სადარბაზოს ჩამონგრევას) შეეწირნენ, იყო 12 წლის ნათელი, მრავალმხრივ ნიჭიერი ბიჭი, რომელსაც მთელი გულით უყვარდა სიცოცხლე, გარშემომყოფნი და ხატვა*

მისი ერთ-ერთი ნახატი, სადაც დედასთან ერთად ლიანდაგს ადგას და ორივე ხელებგაშლილი მიუყვება შორეთს, მომხდარი ტრაგედიის სიმბოლო გახდა. სწორედ მას მისცა ახალი სიცოცხლე ბათუმის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორმა იანა ჩადუნელმა, როცა დათას ეს ნახატი მისი მშობლიური სკოლის ფოიეს ცენტრალურ კედელზე დიდი მოცულობის პანოდ აქცია და ირგვლივ ორნამენტად შემოავლო დათასვე მომცრო ზომის სხვა ნამუშევრები.

ცხადია, მე-3 საჯარო სკოლაში, სადაც დათა სწავლობდა, განსაკუთრებით უძნელდებათ უმისობასთან შეგუება, რასაკვირველია, ვერ და არ ივიწყებენ მას. ამის გამოხატულება იყო დათას ხსოვნისთვის აქ გამართული მისი ნახატების გამოფენა და ამ ნახატებით ილუსტრირებული წიგნი-ალბომის „დათას ფერადი სამყარო“ წარდგინება. ამ დღის ორგანიზატორებმა იანა ჩადუნელმა და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელმა ირმა ვადაჭკორიამ მოიწვიეს დათას მამა გია შომახია და ძმა ნიკა. სკოლის დარბაზში შეკრებილებს ჯერ მე-3 საჯარო სკოლის კლუბ „შემოქმედთა სივრცის“ მიერ მომზადებული ამაღელვებელი ვიდეოფილმიც გვაჩვენეს, რომელიც დათას ხმით, მის მიერ წაკითხული ანა კალანდაძის ლექსით დაიწყო, შემდეგ კი კიდევ ერთი ლექსით გაგრძელდა, რომელიც ამ სკოლის კურსდამთავრებულმა მარიამ გრიგორიადიმ დათას მიუძღვნა. პატარა ნაწყვეტს მოვიყვანთ:

დღეს ცამ ცრემლებით შეიმოსა
სხეული ისევ
და ვარსკვლავებად ჩამოსცვივდა
მოგონებები,
ჩვენ ყველა ტკივილს ვასხვისებთ
და თავიდან ვიწყებთ,
რომ მოვუქარგოთ მტირალ ქალაქს
სული იებით.

ირმა ვადაჭკორიამ ისაუბრა წიგნ-ალბომზე, რომელიც გამომცემლობა „პრინტარეაში“ დაიბეჭდა არტ-სტუდია ანდამატის ხელმძღვანელ ლია კასპელაშვილის იდეით და თაოსნობით. მისი ეს წამოწყება მთელმა ქალაქმა აიტაცა. მას თავიდანვე გამოეხმაურა და საქმეშიც ჩაერთო დათას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ირმა ვადაჭკორია, ფონდების „იალქანი“ და „სიკეთე მარტივია“, ქუთაისის ქალთა კლუბის, ასევე, იაგო თავდგირიძის სოლიდურმა შემოწირულობამ, მთელი საზოგადოების ჩართულობამ ამ იდეას ხორცი შეასხა.

მართლაც, კარგი სახსოვარი შექმნეს დათას სახელის არდავიწყებისთვის, მის გასაცნობად ფართო საზოგადოებისთვის. წიგნ-ალბომში არა მარტო დათას შესანიშავი, უმთხელ გაკვეთილზე ერთმანეთი უნდა დაგვეხასიათებინა არგუმენტირებულად. დათამ მე დამახასიათა. ყველანაირ დახასიათებას ველოდი გარდა იმისა, რაც თქვა, სხვაპლანეტელს შემადარა, მთელი კლასი იცინოდა. მისი არგუმენტი ასეთი იყო: ის კლასში იმდენად ჩუმად ზის, რომ ხანდახან უცხოპლანეტელი ჯაშუში მგონია, რომელიც ჩვენს

კლასს უთვალთვალებსო“. საინტერესოა ანა მიხაილოვას მოგონებაც: „დათა ყველაზე მხიარული, გახსნილი და გულთბილი იყო თანაკლასელთა შორის. მუსიკის გაკვეთილზე გიტარა მოგვქონდა და უკრავდა არაჩვეულებრივად. ნიჭიერი იყო და გულისხმიერი. თუ რაიმეს სთხოვდი, არასოდეს გეტყოდა უარს. მე ხატვა მიჭირდა, რაღაცები არ გამომდიოდა და სულ მეხმარებოდა. ძალიან გულკეთილი იყო. დათა, იმედია, ცაში ხარ და ანგელოზად დაფრინავ“.

ანა შარაშიძე: „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურმა ცენტრმა დათას მეგობრები ხსოვნის საღამოზე მიგვიწვია. კონცერტი ძალიან ემოციური და სევდიანი იყო, ჩემთვის ორმაგად მტკივნეული, რადგან დირიჟორის მოძრაობებმა მუსიკის გაკვეთილი გამახსენა, რომელზეც მასწავლებელმა მოგვასმენინა ორკესტრის შესრულება და გვთხოვა, ყველას დაგვეხუჭა თვალები და წარმოსახულ ინსტრუმენტზე დაგვეკრა. ზოგმა პიანინო წარმოიდგინა, ზოგმა გიტარა, ვიოლინო, სალამური და თვალები რომ გავახილეთ, აღმოჩნდა, რომ დათა ხელში ფანქრით გვდირიჟორობდა. საოცარ მოძრაობებს აკეთებდა. კონცერტზე მჯდომს დათა მედგა თვალწინ. დათა – დირიჟორი. უცნაური მოძრაობებით როგორ მართავდა ორკესტრს“.

დათაზე ისაუბრეს, გაიხსენეს არტ-სტუდია „ანდამატის“ ხელმძღვანელმა ლია კასპელაშვილმა, ისტორიის მასწავლებელმა გურამ ჩხატარაშვილმა, სკოლის დირექტორმა იანა ჩადუნელმა, რომელმაც ჩვენთან საუბარში თქვა: – მადლობას რომ მეუბნებიან, ან პანოსთვის, ან ამ გამოფენის მოწყობისთვის, მიკვირს. ეს ყველას იდეა იყო და მადლობისთვის კი არა, იმისთვის გავაკეთეთ, რომ მამას რამენაირად შევუმსუბუქოთ დათას წასვლა, ვაჩვენოთ, რომ იგი მაინც ჩვენთან არის და რომ მან დატოვა არა მარტო ოჯახი, არამედ ჩვენც. ეს ერთადერთი საშუალებაა, გამოვხატოთ ჩვენი გულისტკივილი, სიყვარული და დაფასება. 12 წლის ასაკში ბავშვს ამდენი ნახატი შეექმნას და ყოველ მათგანს ჰქონდეს თავისი ისტორია, იშვიათობაა. სიმბოლოდ ქცეულ ნახატთან დაკავშირებით ძმამ რომ ჰკითხა, მე რატომ არ ვარ ამ ნახატზე შენთან და დედასთან ერთადო, უპასუხა, აქ შენი ადგილი არ არის, შენ და მამა მერე წამოხვალთო. ერთი ნახატია კიდევ, სადაც ნაჩვენებია ორად გაყოფილი გზა, რომელზეც თქვა, ერთი სიკეთის მხარეა, მეორე ბოროტისო. ბავშვისთვის, მართლაც, უცნაურია ასეთი სიღრმე. 12 წლის ბავშვი უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება იყო. მე დიდი შეხება არ მქონია მასთან, თუმცა ვიცოდი, რომ ასეთი ნიჭიერი და არაჩვეულებრივი ბავშვი იყო, აი, რაც შეეხება ირმა ვადაჭკორიას, მას, როგორც დათას მამამ გვითხრა, მეორე დედას ეძახდა და დღეს გავაცანი კიდეც იგი, ძალიან ააღელვა მასწავლებელთან შეხვედრამ და მადლობა გადაუხადა მისი ვაჟის ასეთი სიყვარულისთვის.

ირმა ვადაჭკორია ისე განიცდიდა იმ დღესაც, რომ ჩვენთან საუბარიც კი ვერ შეძლო, როგორც გავიგეთ, სწორედ მისი ონლაინგაკვეთილის დროს, რომელსაც დათაც ესწრებოდა, მოხდა ის საზარელი შემთხვევა... დათას გამოსახულება გაქრა ეკრანიდან, ისევე, როგორც ამ ცხოვრებიდან. ირმამ ძალიან მალე გაიგო ამის შესახებ და ეს თემა მისთვის გამორჩეულად მტკივნეულია. მას და დათას განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ, რასაც წერს კიდეც ზემოთ ხსენებულ წიგნში: „მოსწავლეებთან ურთიერთობაზე ასე საჯაროდ არასოდეს მისაუბრია, არც მიმოწერა გამისაჯაროებია, რადგან ვფიქრობ, რომ მოსწავლე-მასწავლებლის მეგობრობა, ურთიერთობის განუმეორებლობა ძალიან პირადულია და სხვებისთვის არაფრისმთქმელი. ამ ტრაგედიამ, რომლის გადმოსაცემადაც არ მაქვს სიტყვები ლექსიკაში, მაიძულა, ეს წესი დამერღვია და გამონაკლისი დავუშვი, რადგან მინდა ყველამ იცოდეს, რომ შენ პატარა დიდი ადამიანი იყავი, დიდებული, სრულყოფილი, უთბილესი გულითა და უდიდესი თავმდაბლობით. შენ იყავი საუკეთესო გამოხატულება შრომისმოყვარეობის, ყურადღების, კეთილსინდისიერების, სითბოსა და სიყვარულისა. შენ იყავი ერთ-ერთი გამორჩეულად ნათელი მოსწავლე ჩემს მოსწავლეთა შორის. მჯერა, უკეთეს სამყაროში წახვედი. ეს რეალობა შენ არ გიმსახურებდა. ამ სინამდვილისთვის ზედმეტად თავაზიანი, ემოციური და გულიანი იყავი, ვერ დაგიმსახურეთ“.

„ვინაიდან დათამ ვერ უნდა მიაღწიოს ზრდასრულ ასაკს, მაშინ დაე, ამ ასაკში, ჩვენი წიგნით დღესვე გაიგოს მის შესახებ ყველამ, რადგან იგი ამას იმსახურებდა, მაგრამ არ იმსახურებდა სიკვდილს“.

ამ სიტყვებით დაამთავრა ლია კასპელაშვილმა იმდღევანდელი გამოსვლა, ჩვენთან საუბარში კი უფრო დეტალურად ისაუბრა დათას შესახებ: – დათას დედაც, მაია, მინდა გავიხსენო, რამდენადაც დიდი იყო ტანად, იმდენად პატარა, მოკრძალებული ნაბიჯებით დადიოდა, საოცარი მორიდებით მომესალმა. აი, როგორი ფეხაკრეფითაც შემოვიდა ჩემთან სტუდიაში, ისე ფეხაკრეფით წავიდა ამ ქვეყნიდან. თითქოს დედამიწასაც ებოდიშებოდა, ფეხს რომ ადგამდა. მაია ყველაფერს აკეთებდა დათას განვითარებისთვის, თითქოს სურდა ყველაფერი მოესწრო, სავსე იყო ფეისბუქის გვერდი მისი სურათებით. ალბათ რაღაც წინათგრძნობა არსებობს, ყველაფერს ასწრებდა, ახერხებდა, რათა დათას სამყარო მაქსიმალურად გაეხსნა. პიროვნულად, სულიერად გაზრდილიყო. ეს ეტყობოდა დათას სურათებსაც და დათას საერთოდ. შინაგანად თავისუფალი, ღაღი, ხალასი, სხარტი ბავშვი იყო. ხუთი წელი იზრდებოდა ჩვენს სტუდიაში, არ ჰყოფნიდა ჩვენთან ყოფნის დრო, წასვლა არასდროს უნდოდა. - ასე მალე? უკვე წასვლის დროა? - მეტყოდა ხოლმე თავისი ლამაზი ხმით, - ჰო, კარგი, წავალ. არადა, მერე დედამისი კიდევ ბევრჯერ დამირეკავდა, გამოუშვით, თუ შეიძლებაო. მაია სახლშიც უქმნიდა ისეთ ატმოსფეროს, რომ თავისი სამყარო ჰქონოდა და თავი ეპოვა ამ სამყაროში და მას მართლაც, ჰქონდა თავი უკვე ნაპოვნი მიუხედავად ასეთი პატარა ასაკისა. არასოდეს შემოუფიცავს, მხატვარი გავხდებიო, მაგრამ რასაც აკეთებდა, სწორედ ამ ხელოვნებისკენ გადადგმული ნაბიჯები იყო. მაგალითად, გრაფიკული ნამუშევარი - ბოთლი და ქოთანი, ეს წელს მისი პირველი გაკვეთილის შედეგია, ნულოვანი ნახატი ჰქვია ჩემს პრაქტიკაში, ამით ვადგენ იმ მომენტის მონაცემებს, რა დონეზეა სტუდიის აღსაზრდელი. როგორც დათამ ამ გაკვეთილზე დამიხატა, ვინატრე, რომ ზოგიერთი ჩემი აბიტურიენტიც, რომლებმაც ასევე, დამიხატეს ნულოვანი ნახატები, დათასავით ხატავდეს-მეთქი. დათას ჰქონდა დიდი მომავალი ამ მხრივ და ძალიან მენანება, რომ არაფრის გამო დაგვეკარგა, ყველაზე უსაფრთხო ადგილას, სახლში ყოფნისას. დაკვირვების, კვლევის, ძიების დიდი ინტერესი ჰქონდა. ეს ჩანს მის ტიტანიკის სერიებში. იჩხრიკებოდა დეტალებში, კერამიკაშიც ასე იყო. ინტერესდებოდა იმაზე მეტად, ვიდრე ამ ასაკში სჭირდებოდა. ძიების პროცესი მოსწონდა ყველაფერში - ფერწერაშიც, გრაფიკაშიც, რაიმეს კონსტრუირებაშიც. მე ძალიან მიყვარს მისი დახატული სურათი, სადაც ნავები,ზღვაა გამოსახული, ჩემთვის ეს იყო დათას აღმოჩენა. მართალია, მისი ფანტაზიით არაა, ილუსტრაცია გამოვიყენეთ, მაგრამ მისი ზრდა ტექნიკური თვალსაზრისით კარგად ჩანს ამ შარშანდელ ნამუშევარში.



გავესაუბრეთ დათას კლასის ხელმძღვანელ მარიამ გაბელაიასაც: - საოცარი ბავშვი იყო, მისი ნახატებივით ლამაზი, კეთილი. კარგად სწავლობდა, დამჯერეც იყო, არ მახსენდება მისთვის შენიშვნა მიმეცეს, მიუხედავად იმისა, რომ აქტიური ბავშვი იყო. ყოველთვის მოწესრიგებული მოდიოდა, არასოდეს შემინიშნავს, გაკვეთილი არ სცოდნოდა, დედაც ძალიან ყურადღებიანი ჰყავდა, ყოველთვის მეხმიანებოდა... მე-5 კლასში პირველად რომ შევედი ჩემს სადამრიგებლოში, დათას დავიტს ან დათოს ვეძახდი. მოვიდა და მთხოვა, მასწავლებელო, მე დათა მქვია, ეს სახელი მომწონს და ასე დამიძახეთო. მე-6 კლასში მთხოვა, ბუნებისმეტყველებაში გაკვეთილი ამახსნევინეო. წინასწარ მომწერა ამის შესახებ და გაკვეთილის დაწყების წინაც თხოვნა გამიმეორა. სიამოვნებით დავთანხმდი. ძალიან კარგად მიირგო მასწავლებლის როლი - საინტერესოდ ახსნა გაკვეთილი. მეტი დამაჯერებლობისთვის ხელებს და სხეულის ენას იშველიებდა. ისე ცდილობდა მასწავლებელს დამსგავსებოდა, რომ ღიმილსაც გვგვრიდა. დაუვიწყარ მოგონებად დარჩება მუდამ, - გვითხრა მან.

ლამაზი წიგნი-ალბომი ყველა იქ მყოფს საჩუქრად გადმოგვეცა. შემდეგ შეკრებილებმა - მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, აღსაზრდელების მშობლებმა, მოწვეულმა სტუმრებმა დათას ნახატები დაათვალიერეს, არავინ ჩქარობდა წასვლას, მიუხედავად იმისა, თითქოს სათქმელი აღარაფერი დარჩა. დუმილით, ჩუმი მწუხარებით ეფერებოდა იმ ბიჭის ნათელ სულს მშობლიური სკოლა, რომელიც მუდამ მათ ღვიძლ ნაწილად დარჩება.

ამ დღემ ყველაფერთან ერთად კიდევ ერთხელ გაგვახსენა, როგორ დაანგრია ერთი ოჯახის ბედნიერება ზოგის სიხარბემ, ზოგის დაუდევრობამ, ზოგის გულგრილობამ. ეს რომ არა, დათაც ძველებურად ლაღად ივლიდა დედამიწაზე, აუცილებლად შესამჩნევ კვალსაც დატოვებდა და სხვა დაღუპულებიც თავიანთ გზას გაივლიდნენ, გაგვახსენა, რომ უფრო ფხიზლები, კეთილები და ძლიერები უნდა ვიყოთ, რომ მსგავსი აღარ განმეორდეს.

მარინა მითაიშვილი